საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე. პარასკევი, გიორგობისთვის 26, 1920 № 158

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

გაზ. „საქართველო“-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დიდი არტისტის, ქართული სცენის სიამაყის

ვლადიმერ მესხიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში.

მგლოვიარე ქართული დრამის რეჟისორთა კოლეგია აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ თავის უხუცესის მაღალ ნიჭიერის და დამსახურებულის წევრის

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის

გარდაცვალებას.

სახელმწიფო თეატრების დირექცია, მსახიობთა კავშირი და სახელმწიფო დრამის მსახიობნი გულმწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 23 ნოემბერს, ნაშუაღამევს, გარდაიცვალა მაღალნიჭიერი და დამსახურებული მსახიობი

ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი

ღრმად დამწუხრებულნი: ნინო დიმიტრის ასული, ეკატერინე ალექსანდრეს ასული, შალვა და ვლადიმერ ვლადიმერის ძენი ალექსი-მესხიშვილნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 23 ნოემბერს, ნაშუაღამევს მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში.

თფილისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ჩვენი სცენის სიამაყის

ვლადიმერ მესხიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში.

1—1 122

გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი

იძლევა გაკვეთილებს

სასურველია დილის საათები

მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)

ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.

„სორაპანის“ გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ 1921 წ.

„კალენდრები“

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

1) კედლის კალენდარი.
2) ჯიბის კალენდარი
3) მოძრავი კალენდარი ქართულ-რუსული
4) თვიური კალენდარი ქართულ-რუსული

ყველა დაბეჭდილია წითელი საღებავით მისამართი თბილისი სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძე.

8—1 2295

—კინო—

არფასტო

ნოემბრის 25, 26, 27

საუცხოვო სანახაობა! მშვენიერი თამაში! ტრაგიკ. სიუჟეტი

პირველად თბილისში. საგანგებო სალონური დადგმა

წინასწარ მეტყველობა

მხატვრული დრამა 5 ნაწილად, (პროლოგით), რომელშიდაც მშვენიერი ვერა ვერგინი მაყურებელთ ჰხიბლავს თავისი თამაშით და „პაკენა“-ს კოსტიუმით, და აგრეთვე არა ნაკლებ ნიჭიერი ტრაგიკი სალო, რომელიც შეშლილის როლში დამთავრებულ ფსიქოლოგიურ შთაბეჭდილებას ჰქმნის.

არფასტოში მხოლოდ ახალი სცენები, ახალი პრემიერები და ერთად-ერთი კინოა, რომელიც შეიმინა საქც. საზოგადოებამ „საგო-ტიემიმ“. არფასტოში

სახელმწ. თეატრი

ოპერა

პარასკევს, 26-ს ნოემბერს
ბალეტის საღამო
ჟიზელი

შაბათს, 27 ს ნოემბერს
ოპერა მუშებისთვის
კოტე და ქეთო

კვირას, 28 ნოემბერს
აბესალომ და ეთერი

ორშაბათს, 29 ნოემბერს
ქართულ ენაზე ოპერა
ღალატი

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, ნოემბრის 28-ს
პირველად
ზღვასთან
ენგელისა
რეჟისორი—მ. ქორელი.

შაბათს, დეკემბრის 4-ს
პირველად ორიგინალური ტრაგედია
ბერდო-ზმანია
ა. შანშიაშვილის
ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა
მუსიკა არაყიშვილისა: ბალეტი, ხორო.
რეჟისორი—ალ. ახმეტელი

ბილეთები კასაში
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მინდა

მასწავლებელი ფრანგულის

გაკვეთილების მიცემა შეეძლოს საღამოს 6 საათიდან

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5,
რაჟდენ გვეტაძე

1920 წ. ნოემბრის 28-ს

დანიშნულია

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისა (ცენტრობანკის).

კრება შესდგება დღის 12 საათზე ცენტრობანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა №.

ცენტრობანკის გამგეობა.

ჩვენი გარემო.

საქართველოს გარშემო ახალ-ახალი საერთაშორისო განწყობილება იქმნება. ანგორა და მოსკოვი, რომლებიც დღემდე ერთად მუშაობდნენ, როგორც ეტყობა, ერთმანეთს თანდათან შორდებიან.

სტამბოლი და ანგორა დღეს ერთი მეორეს ურიგდება. უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ სტამბოლი ანგორას დელეგაციას გაუგზავნის. ოსმალეთის მიწადმოქმედების მინისტრის ჰუსეინ ქიაზიმ ბეის განცხადება სტამბოლის ერთ ერთი ფრანგული გაზეთის თანამშრომელთან და ამგვარივე განცხადება ბ-ნი იზეთ ფაშისა, არავითარ ეჭვს არ სტოვებენ, რომ სტამბოლის დელეგაციის ანგორაში გამგზავრება უკვე გადაწყვეტილი ფაქტია. ამ გადაწყვეტილების ასრულებაში მოყვანა მხოლოდ დღის საკითხია.

ჩვენ საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სტამბოლი და ანგორა სრულ შეთანხმებას არ მიაღწევენ. ანგორის მთავრობის უმთავრესი მოთხოვნილება მიღებული იქნება ოსმალეთის ოფიციალი მთავრობის მიერ და ამგვარად მთელი ოსმალეთი, დღეს ორ მთავრობასა და ორ პოლიტიკას შორის განაწილებული, თავს მოიყრის ერთი ნაციონალური მთავრობის ხელმწიფების ქვეშ, რომელშიაც, შეიძლება, პერსონალური ცვლილებაც მოხდეს ანგორის მთავრობის ზოგიერთ წევრის იქ შესვლით—და რომელიც გამაერთიანებელი ეროვნული პოლიტიკის ხაზს დაადგება. ანგორა-სტამბოლის შეერთება, რომელიც ანგორის პოლიტიკის გამარჯვებას მოასწავებს, ინგლისის მუშაობის შედეგია. სტამბოლის მთავრობა, რომელსაც ოსმალეთის ყოფილი ელჩი ლონდონში, თევიქ ფაშა მეთაურობს, ინგლისის გავლენაშია მოქცეული და როდესაც ინგლისი ანგორა სტამბოლის შეთანხმებას აწყობს და ამ გარემოებით ანგორის პრესტიჟს ადიდებს და მის არსებით მოთხოვნილებას წინასწარ დასტურს აძლევს, ცხადია რომ მას ამისი კომპენსაცია წინასწარადვე დაზღვეული ექნება,—ეს კომპენსაცია ის არის, რომ ანგორა-სტამბოლის შერიგებით წარმოშობილი ოსმალეთის ერთიანი მთავრობა ინგლისის პოლიტიკას შეუკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის ცდა, რომელიც მიმართული იყო ლენინისა და ქემალის გათიშვისაკენ, დღეს თვის მიზანს აღწევს. ამგვარად ოსმალეთი ანტანტის ორბიტაში ჩადგება და მუსლიმანურ აღმოსავლეთს ამით ასცდება ის ანარქია, რომლის სიყვარულით ლენინმა ქემალს გადმოუგზავნა რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი ოქროთი და რომელზედაც იგი ამყარებდა ანტანტზე თვის გამარჯვების შანსებს.

შეიძლება მეტიც მოხდეს და ინგლისმა ქემალი ლენინს შეაბრძოლოს.

ცხადია, ლენინი ადვილად ვერ შეურიგდება ამ იმედების დამხობას; იგი შეეცდება ქემალს აზღვევინოს ოქროს მილიონები და მუხანათობაც. ამ შურისძიების განაღდების ასპარეზად შეიძლება იყოს მხოლოდ სომხეთი, სადაც დღეს მოსკოვისა და ანგორის შეიარაღებული ძალები ერთმანეთს ეხეთქებიან...

საქართველოს ვითარებაზედ უმახლობელი გავლენა დღეს სწორედ ამ სომხეთში მოსალოდნელი მოსკოვისა და ანგორის შეჯახებას აქვს. საქმეც თითქო ასე ეწყობა. ქემალის მიერ დამარცხებული სომხეთი ვერ იკრებს სახელმწიფოებრივ ცენტრს.

კარაზნუნი ულონო გამოდგა ამ გაჭირვების დროს შეედგინა სამშობლოს დამხსნელი კოალიციური მთავრობა. ხოლო ყოველი წუთი უმთავრობო არსებობის იქ აძლიერებს საანარქიო ელემენტებს და სულისკვეთებას, რომელსაც საბჭოთა რუსეთი გარს იკრებს სომხეთში საკუთარი ხელისუფლების დასამკვიდრებლად. საბჭოთა რუსეთი სომხეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირობით, სომხეთს საკომპენსაციოთ თამამად შეპირდება ქემალის განდევნას და სომხეთის ძველი საზღვრების აღდგენას.

სომხეთი მძიმე დილემის წინაშე სდგას: თუ რუსეთს გაჰყვა, შეიძლება 1914 წლამდე არსებულ საზღვრებში აღადგინოს თავისი რესპუბლიკა, მაგრამ იგი იძულებული იქნება თავის დამოუკიდებლობას გამოეთხოვოს. თუ არ გაჰყვა და ლენინ ქემალის ჯარები სომხეთის ტერიტორიაზედ ერთმანეთს შეეჯახნენ, სომხეთი იძულებული იქნება ქემალს გვერდში ამოუდგეს, იმ ქემალს, რომელიც დღეს ანტანტს უახლოვდება; მაგრამ სომხეთი დარწმუნებული ვერ იქნება, რომ იგი ამ მეორე კომბინაციაში მაინც თავის დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს. სხვა და სხვა გზით და პოლიტიკით წარმოშობილი მოქმედებანი ერთმანეთს საპირისპირო შეჯახებისთვის უახლოვდებიან. საბჭოთა რუსეთი და აზერბაიჯანი ჯარებს თავს უყრიან; ეს თავმოყრა ხდება ჩვენი საზღვრის მახლობლადაც, ყაზახის მაზრაში; ჩვენს გარშემო მდგომარეობა რთულად იხლართება. სომხეთი თავის თავის პატრონი ვერ არის. იქ ქემალი და საბჭოთა რუსეთი მამასახლისობს.

შეიძლება ამიერ-კავკასია გადაიქცეს ანტანტის და საბჭოთა რუსეთის შეჯახების ასპარეზად. მით ხდება ეს დიდის მაშტაბით, თუ საქმე გათავდება საბჭოთა სომხეთის გამოცხადებით და ქემალის 1914 წლის საზღვარზე უკუ გადასვლით, საქართველო ორივე ამ შემთხვევისათვის მზად უნდა იყოს,—ვინაიდან მას უშუალო ხიფათი დაუდგება. ამ შეგნებამ და წინდახედულობამ უნდა აამუშაოს მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია; ამან უნდა დაუბრუნოს გონი და აუხილოს თვალი ჩვენს დღევანდელ მმართველებს და მათ გამოაძებნინოს დაკარგული სწორი გზა შინაური ფრონტის ჭეშმარიტი განმტკიცების და სამხედრო ძალის მაქსიმალური გადიდებისა.

ამერიკა-გერმანია

ის გარემოება, რომ ამერიკამ, სერიოზულად განიზრახა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლება, ნათლათ მოწმობს ამერიკის შეერთ. შტატების საგარეო ვაჭრობის ახალი მიმართულების დაწყებას. ომამდის ამერიკის კაპიტალი არ ეტანებოდა ჩვენი პლანეტის აღმოსავლეთ ჰემისფერას. არც რუსეთში, არც ოსმალეთში, არც შორეულ აღმოსავლეთში (შეიძლება ჩინეთის გამოკლებით) არც ეგვიპტეში ამერიკის კაპიტალი არ ყოფილა ღირსეულად წარმოდგენილი და თუ აქა იქ შევხვდებოდით ამერიკულ ფირმის წარმომადგენელს, ყოველს შემთხვევაში, ძალზე სპორადიულათ ეხლა კი ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობა აქტიურ მოქმედებაზე გადასულა: მას მიზნათ დაუსახავს რუსეთის აღმოსავლეთ პროვინციების ექსპლოატაცია. პირველი და მთავარი მიზეზი მისი ტრადიციის დარღვევისა არის, რომ ამერიკისაგან გაცემული სესხის უდიდესი ნაწილი რუსეთშია მოთავსებული; მეორე გარემოება, იაპონიის, მისი მოქიშპის, არაჩვეულებრივი ზრდა. მესამე გარემოება,

დღეს:

ფრანგული გაზეთების ცნობით ქიამალისტებსა და ბოლშევიკების შორის აზერბაიჯანისა და ბათომის გარშემო უთანხმოება ჩამოვარდა.

ირლანდიაში ეროვნული მოძრაობა ინგლისისათვის საშიშ ხასიათს ღებულობს.

წერილები.

მეთაური: ჩვენს გარშემო.
გერმანია—ამერიკა.
ჩვენი კორესპოდენტები: გურია.

ოლიმპიადა ლუკას ასული ქორქაშვილი, მარიამ ლუკას ასული ჩიქოვანისა და აკაკი და ალექსანდრე ლუკას ძენი ქორქაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ, რომ ამა თვის 25-ს დილით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი და

ოლღა ლუკას ასული ქორქაშვილი

პანაშვიდი 26 ნოემბერს საღამოს 6 საათზე ბინაზე.
გამოსვენება შაბათს, 27-ს ნოემბერს ნაშუადღევის 4 ს. (ახ. დრო)
ბინიდან, მთაწმინდის შესახვევი, ს. № 8.
1—330 2—1.

ძალზე ხელის შემწყობი. ამერიკისათვის ეხლანდელ პირობებში—არის გერმანიის დროებითი შესუსტება და ჩამოცილება რუსეთის ასპარეზზე კონკურენციისაგან, რაც ხელს შეუწყობს ყველა სერიოზულ ცდას რუსეთის ბაზრისა და წარმოებათა დაუფლების. ინგლისმა პირველმა სცადა ესარგებლნა ამ საუცხოვო გარემოებით, მაგრამ ჯერ ხნობით შეუძლებლათ დაინახა მიზნის მიღწევა. როგორც ჰგავს ამერიკის ცდა უფრო ბედნიერი უნდა იყოს. თუ ამერიკის განზრახვა სისრულეში მოვიდა, მას შედეგად მოჰყვება მთელი რუსეთის ორ ნაწილად გაყოფა: აღმოსავლეთი ნაწილი როგორც ამერიკის ექსპლოატაციის საგანი, და მეორე დასავლეთი ნაწილი, რომელიც მომავალში ვერ ასცდება გერმანიის ზეგავლენას. გერმანიის აქტიური მოქმედება რუსეთის ტერიტორიაზე დღეს მიჩნეულია, როგორც სასარგებლო მთელი ევროპისათვის, თუ რუსეთის შინაური ვითარება ცოტათი მაინც გამოკეთდება წარმოების თვალსაზრისით. ევროპა ამას გრძნობს; ამას გრძნობს ანტანტის თვალსაჩინო წევრები, სხვათა შორის, ინგლისიც, რომლის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ფინანსთა უწყების ხელმძღვანელი ათეული წლების მანძილზე ბ. კინეი, დღეს აშკარათ იცავს ამ თვალსაზრისს.

მაგრამ გერმანია-ამერიკის შეხვედრა რუსეთის ტერიტორიაზე უსათუოთ შექმნის ახალს გამძაფრებულ ჯიბრობას ამ ორ სახელმწიფოთა შორის, მაგრამ ეს მომავალის საქმეა ეხლა კი. ცნობილია, რომ ინგლისის პოზიცია დამარცხებულ გერმანიისადმი სულ გამოიცვალა ამ უკანასკნელ ხანებში. არც გასაკვირია. არც ერთი ხალხი ევროპაში არ შეედრება გერმანელებს ენერგიითა და საქმის ზედმიწევნითი ცოდნით. მათი ხანგრძლივათ დაავადება დიდი დანაკლისი იქნებოდა მთელი კაცობრიობის მეურნეობისათვის. არც ერთ ევროპის ქვეყანას არ ჰქონია ინგლისთან ისეთი დიდი და მრავალ მხრივი ეკონომიური ურთიერთობა, როგორც გერმანიას. უკანასკნელის ნაწარმოები ცნობილია როგორც ხარისხით კარგი და ფასით იაფი. ევროპის არც ერთ ერს არ შეუძლიან გამოიყენოს და ევროპას ასარგებლოს ის ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც დაგროვილია რუსეთში და საზოგადოთ აღმოსავლეთ ევროპაში. ამისი ცოდნა და მოხერხების ნიჭი, ამბობენ თვით ინგლისელები, ყველაზე მეტი გერმანელებს აქვსთ. გერმანელების მდგომარეობა უცხოეთში ცოტათი გაუმჯობესდა ინგლისის იმ აქტის შემდეგ, რომლის ძალით ინგლისმა უარი განაცხადა, ისარგებლოს ვერსალის ხელშეკრულობით მინიჭებული უფლებით, რომ არესტი დაედვა გერმანელთა იმ ქონებაზე, რომელიც ინგლისის სამფლობელოში იქნებოდა მოქცეული, უკეთ გერმანია უარს იტყოდა თავის რომელიმე ვალდებულებაზე. ამას დაუმატეთ ინგლისსა და გერმანიას შორის სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება ამ უკანასკნელ ხანებში და ლოიდ-ჯორჯის უკანასკნელი სიტყვა, რომ გერმანიის მდგომარეობა ისე უნდა შევცვალოთ, რომ შეეძლოს გადაიხადოს, რა გადასახადსაც დავადებთ, ხოლო უნდა დავადვათ იმდენი, რამდენის გადახდაც შეეძლება და ცხადი იქნება, რომ ვერსალის ხელშეკრულებას სინამდვილეში სიტყვა-სიტყვით არ შეასრულებენ თვით ამ ხელშეკრულების მთავარი ინიციატორები. გერმანიის ხელახალი გამოსვლა ეკონომიური ურთიერთობის ასპარეზზე, გააუმჯობესებს ევროპის ეკონომიურსა და ფინანსიურ მდგომარეობას. მართალია, არც გერმანიას, არც რუსეთს ის მნიშვნელობა არა აქვთ ევროპისთვის რაც ომამდე ჰქონდათ, მაგრამ მათი გამოყენება კიდევ შეიძლება. განსაკუთრებით გერმანიის მრეწველობას დიდი შეღავათი შეუძლია მისცეს მთელს ევროპას.

დამფუძნებელ კრებაში.

(24 გიორგ. საგანგებო სხდომა).

წერილი დარბაზიდან.

გვეღირსა. ბოლოს როგორც იქნა, ჩვენმა სოც.-დემოკრ. შეიგნო, რომ მუდამ რევოლიუციონურ ატმოსფერაში სახელმწიფოს ცხოვრება შეუძლებელია. მათაც საჭიროდ დაინახეს სამი წლის რევოლიუციისათვის დასასრული მიეცათ. კონსტიტუციის კანონპროექტმა, როგორც იქმნა იხილა დამფუძნებელი კრება.

ერის უწმინდეს დარბაზში უუმნიშვნელოვანესი საკითხი სდგას. აქ იხილავენ პროექტს ,,მკვდრეთით აღდგომილ'' ერის მომავალ სახელმწიფოებრივ წყობილებისას. ჭეშმარიტად დიდი დღეა. ეს დარბაზი არა ერთხელ ყოფილა საზეიმოდ მორთული, არა ერთხელ დაუტევია მას ქართველი ერის აღტყინება, არა ერთხელ სმენია განსაცდელში ჩავარდნილ ერის შვილთაგან მკვეთრი და შეუდრეკელი სიტყვა. იყო დრო, როცა ჩვენ ეროვნულ სხეულს შუაზედ გაჩხვით ემუქრებოდნენ. მაშინ დარბაზს სმენია ერის შვილთა შეუდრეკელი ხმა ,,თეთრი გიორგის ტრიბუნიდან'' და ამავე დროს მოედანზედ მომსკდარ ერის ყიჟინაც.

ყველა ეს მომენტები წარუშლელის ასოებით იწერებოდნენ ,,წმინდა დარბაზის'' კედლებზედ. მაგრამ ჩვენი პარლამენტის ისტორიას განსაკუთრებით დაამშვენებს ორი დღე, რომელთა დატაც 26 მაისი და 24 გიორგობისთვე წარუხოცელ ფრესკებით, აღიბეჭდება დარბაზის თავზედ ამაყად მოფრიალე ერის სამფეროვან ალამის შუა გულზედ. ამ უჩინარ ასოებს შეუიარაღებელის თვალით ამოიკითხავს ყოველი ქართველი პატრიოტი. პირველი დატა მას მოაგონებს ერის პირველ დღესასწაულს, როცა საუკუნის ძილისაგან გამოღვიძებული საქართველო გატვრინული ისმენდა თავის შეუკავებელ ნებისყოფის გამოხატულებას — დამოუკიდებლობის აქტს. ამ დღეს გაიღვიძა ქართველმა ერმა, შეიმუშნა. რუსული ლოდი გადააყირამალა და აღსდგა მკვდრეთით ვით იესო ნაზარეველი. მეორე დატა 24 გიორგობისთვე მას მოაგონებს გასხივოსნებულ დარბაზს, სულ განაბულ დეპუტატებს, რომელნიც ისმენენ მათი ერის მომავალ მმართველობის წესს. ისინი გრძნობენ, რომ გვირგვინს აღგამენ თავისუფალ საქართველოს, და ეს ულრმესი გრძნობა შეუდარებელ სიამაყეს გვრის ყველას.

ნეტარნი ვართ! სჩანს უხილავ სიღრმისაკენ დაშვებული რევოლიუცია შესდგა, ერის ძლიერებამ შეაჩერა პირქვე დაქანებული სოციალისტები, აწი თვით შენგელაიამა და მისმა რევოლიუციონურმა ფრაქციამაც უნდა გაიგოს, რომ ჩვენი ერი შექმნის კანონიერსა და უფლებრივ სახელმწიფოს, და ამ სახელმწიფოს დასასრული არ მიეცემა.

რა ვქნათ რომ ის შენგელაიას არ მოსწონს?!

ე. პ.

კონსტიტუციის პროექტი.

თავმჯდომარეობს სიმონ მდივანი.

იწყება კონსტიტუციის ძირითად საფუძვლების პირველი განხილვა. მომხსენებელია საკონსტიტუციო კომისიის წევრი ბ-ნი პ. საყვარელიძე.

პავ. საყვარელიძის სიტყვა.

მოქალაქენო! დამფუძნებელ კრების წევრნო, საკონსტიტუციო კომისიამ, როგორც იქნა დაასრულა კონსტიტუციის პროექტი. დამფ. კრების მთავარი დანიშნულება იყო კონსტიტუციის მიღება და სახელმწიფოს ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. დამფუძნებელი კრება ქართველმა ხალხმა ანორმალურ

მელიც მის პირდაპირ დანიშნულებას არ შეადგენდა, ამით აიხსნება, რომ მან დღემდე ვერ მოასწრო იმის შესრულება, რისთვისაც იგი პირდაპირ მოწოდებული იყო.

კონსტიტუციას იღებს მთლიანი ერი.

თუმცა დაგვიანებით შევუდექით კონსტიტუციის განხილვას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო დროს. ქართველი ერის ისტორიას ახსოვს ოქროს ხანაც კი, მაგრამ ასეთი მთლიანობა კი არასოდეს. დღეს ქართველი ერი გაერთიანებულია, შედუღებულია ერთ მთლიან ეროვნულ ორგანიზმად. შეიძლება ითქვას, რომ აღმდგარია ძველი საქართველო თითქმით მთელი თავისი სივრცით. დღეს ჩვენთან არის საქართველოს სამაჰმადიანო ნაწილიც. და აი ეს მთლიანი ერი იღებს კონსტიტუციას.

ჩვენ გაგვერთიანა კულტურამ და დემოკრატიამ, ჩვენი თაობა იამაყებს ამით მომავლის წინაშე.

ქართველი ერი თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ძველი საქართველო ფეოდალური იყო მაგრამ იგი მაინც იბრძოდა თავისუფლებისთვის. დაბოლოს ის იძულებული შეიქმნა 1783 წლ. ტრაქტატით შეერთებოდა რუსეთს. აქ იყო შეერთება ორი სუვერენულ სახელმწიფოს. საქართველო ხსნას ეძებდა რუსეთთან კავშირში მაგრამ მოსტყუვდა, რუსეთმა უსირცხვილოდ დაარღვია ტრაქტატი და საქართველო უბრალო პროვინციათ გამოაცხადა. საქართველომ დაჰკარგა სუვერენობა, მაგრამ რუსეთის მონობის დროსაც იგი ამ სუვერენობისათვის იბრძოდა. მას უფლებაც ჰქონდა ებრძოლა თავისი ეროვნული მიზნებისათვის. ჩვენი თაობა ხომ ამისათვის იბრძოდა(?!)

ერი აღსდგა.

რუსეთის რევოლიუციამ შექმნა ისეთი პირობები, რომ საქართველოს უთუოდ დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა. ასეც მოხდა. 26 მაისს (1918 წ.) ერი აღსდგა, ეს ნამდვილი აღდგომა იყო.

დამოუკიდებლობის აქტი—კონსტიტუციის კონსტიტუცია.

ჩვენ ვართ ერი კულტურულათ და პოლიტიკურათ მომწიფებული და უფლება გვაქვს დამოუკიდებლად ვიარსებოთ.

განთავისუფლებული საქართველო სრულიად არა გავს ძველ საქართველოს; უკანასკნელი იყო ფეოდალური, მონარქიულ წყობილებაში. ახალი საქართველო კი არის დემოკრატიული ბატონობს და მპყრობელობს თვით ხალხი გაერთიანებული საქართველოსა, 26 მაისის აქტი უდიდესი აქტია ჩვენს ისტორიაში, ეს დასაბამია ჩვენი სახელმწიფოს არსებობისა, ეს არის კონსტიტუცია, ის მიიღო კომისიამ ერთხმად, როგორც შესავალი ჩვენი კონსტიტუციისა და ვგონებ, რომ ამას დამფუძნებელი კრებაც დაადასტურებს. ჩვენ, ჩვენ კონსტიტუციას საფუძვლად დავუდეთ დამოუკიდებლობის აქტის მთავარი დებულებანი, სუვერენობა დემოკრატიული წყობილება, ნეიტრალიტეტი და სხ.

ჩვენი კონსტიტუცია სულ სხვაა. ჩვენში არ ხდება მთავრობის კრიზისები?!!

რესპუბლიკა დემოკრატიული მრავალგვარია, მაგრამ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა სხვა იქნება. სახელმწიფოს მმართველობამ სამგვარი ტიპი იცის დემოკრ. რესპუბლიკისა.

1. შვეიცარიის პირდაპირ დემოკრატიული; 2. ამერიკის-განაწევრებული ხელის უფლებით და 3. საფრანგეთის პარლამენტალურ-დემოკრატიული. პირდაპირ დემოკრატია ბატონობს როგორც კანტონებში ისე კონფედერაციაში—შვეიცარიაში. იქ ხალხი იკრიბება კანტონებში და ირჩევს პრეზიდენტს, მოსამართლეთ და სხვათ. მათვე ეკუთვნისთ აგრეთვე საკანონმდებლო უფლებებიც. თვით კონფედერაცია არის პარლამენტი, მაგრამ შეზღუდული. ამგვარად შვეიცარიის მოქალაქე ერთი და იმავე დროს ამრჩეველიცაა და კანონმდებელიც, ხელმწიფობა თვით ხალხს უპყრია. შეიძლება ჩვენ ასეთი მმართველობა მივიღოთ?. არა, ვინაიდან ჩვენში არ შეიძლება ხალხის პირდაპირი კანონმდებლობა.

შვეიცარიის მთავრობა არ არის პოლიტიკურად პასუხისმგებელი. ჩვენ ამას ვერ მივიღებთ, ჩვენი მთავრობა საკუთარის პოლიტიკით და საკუთარის პასუხისმგებლობით უნდა იყოს. თვითონ დამოუკიდებლობის აქტი სცნობს მთავრობის პასუხისმგებლობას. ჩვენ დღევანდელ პრაქტიკაშიაც ასევე ხდება(?!) მართალია აქ ჯერჯერობით არა აქვს კრიზისებს(!) როგორც ევროპაში, მაგრამ ეს ჩვენი ძალთა განწყობილების ბრალია.

მეორე ტიპის დემოკრ. რესპუბლიკა არის ამერიკის, სადაც ხელისუფლება განაწევრებულია ეს ჩვენთვის მიუღებელია.

ამერიკაში მინისტრი პარლამენტში ვერ გამოჩნდება, და არც პასუხს აგებს მის წინაშე. იგი პასუხისმგებელია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე, მაგრამ ამავე დროს მინისტრები დამოკიდებულნი არიან კონგრესის კომიტეტზედ (კომისიებზედ).

ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია ხელისუფლების დანაწილება. ეს იქნებოდა სახელმწიფოს დაშლა-დარღვევა.

მესამე ტიპი არის საფრანგეთის პარლამენტალურ-დემოკრატიული სახელმწიფო აქ ხალხი ირჩევს პარლამენტს მეორე არჩევამდე ის სუვერენობას მოკლებულია; იქ არ არის რეფერენდუმი,

მაშასადამე ჩვენ არც ერთი ამ სისტემათაგანი არ გამოგვადგება, ჩვენ შევჩერდით შერეულ სისტემაზე. ვისარგებლეთ ჩვენი ახალი პრაქტიკით და შევადგინეთ სრულიად განსხვავებულ კონსტიტუციის პროექტი.

ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი დებულებით ჩვენ ვირჩევთ მთავრობის თავმჯდომარეს, რომლის ხელმძღვანელობითაც ხდება კაბინეტის შევსება, რომელიც პასუხის მგებელია როგორც მთლიანად ისე ცალ ცალკე ჩვენს წინაშე. დავსტოვეთ პარლამენტი და ამას დაუმატეთ ორი დიდი დემოკრატიული პრინციპი, რეფერენდუმი და ინიციატივა და ამგვარად, ვარგუნეთ ხალხს მუდმივი სუვერენობა და ხელმწიფობა.

პარლამენტარიზმი მოძველდა.

პარლამენტმა ვერ გაამართლა დემოკრატიის იმედები, იმიტომ რომ მას აკლდა ინიციატივა და რეფერენდუმი, ამ მხრივ ჩვენი პარლამენტი სრულია და ამიტომ მის სიკვდილზედ და მოძველებაზედაც კი ლაპარაკი ზედმეტია.

ჩვენი კონსტიტუციის ძირითად საფუძვლებიდან გამომდინარეობს, რომ სუვერენობა თვით ხალხს ეკუთვნის, ის ირჩევს პარლამენტს, მაგრამ მას მუდამ თავს დასცქერის.

შემდეგ მომხსენებელ ზოგადათ იხილავს კონსტიტუციის დანარჩენ დებულებებს და დაასკვნის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კონსტიტუციით შექმნის ქართველი ერი მომავალ კულტურისა და ისტორიას, რომ ამავე კონსტიტუციით ჩვენი მთავრობა და პარლამენტი შესძლებენ ჩვენი სახელმწიფოს აღდგენას და გამაგრებას და ჩვენც თამამად წავსდგებით მომავალ თაობის წინაშე.

ზოგადი მსჯელობა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

თავდაცვის გარშემო.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის მოწოდება.

მოუწოდებს რესპუბლიკანურ სამშობლოს შვილთ, ,,ზურგში'' მყოფთ, რომელთაც არა აქვთ ბედნიერება ბრძოლის ველზე იარაღით დაიცვან ერის თავისუფლება და სამშობლოს დამოუკიდებლობა—არ დაივიწყონ თავისი მოვალეობა მოსალოდნელ მტრის წინააღმდეგ, სასიკვდილოთ გამზადულ ფრონტზე მდგომ თავგანწირულ მებრძოლთადმი; ჩვენი სიმშვიდე და კეთილდღეობა მათი სიმამაცით არის უზრუნველყოფილი, ომს თუ ავცდებით—მხოლოდ მათის თავდადებითა და სიმამაცით.

არავის არ აქვს უფლება განცხრომას და ზეიმს მიეცეს, როცა საუკეთესო შვილნი ჩვენი ქვეყნისა სიცოცხლეს სწირავს ჩვენი ბედნიერებისათვის. ისინი უკვე ფრონტზე არიან.

ყველაფერი ფრონტს.

სირცხვილი უგუნურთა და მოღალატეთ, სხვისი სისხლით მოვაჭრეთ;

საჭიროება დიდია.

ფრონტს დახმარება უნდა. მას ალერსი ესაჭიროება.

მეომართ მოვლა და პატრონობა საჭიროა.

ვისაც მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნება აქვს—დაეხმარეთ ფრონტს რითაც და რამდენით შეგიძლიათ.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი სასახლეშია მოთავსებული, სადაც ყოველ დღე მიიღება შემოწირულება. ცალკე და დამოუკიდებლათ მოქმედ ორგანიზაციების შექმნა არაა სასურველი, აპარატი ერთი და მოწყობილი უნდა იყოს.

ისწრაფეთ მოიხადოთ თქვენი მოვალეობა. შეიტანეთ თქვენი წვლილი თავდაცვის საქმეში. საპროვინციო ადგილობრივ კომიტეტებმა კავშირი დაიჭირონ მთავარ კომიტეტთან.

ვისაც პირადი შრომა უნდა გასწიოს ამ უდიდეს საქმისათვის იქვე გამოცხადდენ. სამუშაო ბევრია—განსაკუთრებით კომიტეტი არავის იწვევს.

ყველა ნებაყოფლობით უნდა მივიდეს.

გამარჯვება ფრონტს, სიფხიზლე ,,ზურგს''.

ვლადიმერ ალექსი მესხიშვილის გარდაცვალება.

ნოემბრის 24-ს საღამოს ხუთ საათზე განსვენებულის ვლ. მესხიშვილის ნაშთი საკუთარ ბინიდან მოასვენეს ქაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენებას ხალხი ბლომად დაესწრო. ეკლესიაში მგოსან აბოსპირელმა წარმოსთქვა სიტყვა.

ვლადიმერ ალექსი. მესხიშვილის დამკრძალავი კომიტეტი.

— სახელმწიფო თეატრების დირექციის ინიციატივით შესდგა ვლადიმერ მესხიშვილის ცხედრის დამკრძალავი ,,კომიტეტი'', რომლის წევრებად მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი: 1. სახალხო განათლების სამინისტროს, 2. დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიისა; 3. სახელმწიფო თეატრების დირექციისა; 4. მსახიობთა კავშირისა; 5. დრამატიული საზოგადოებისა; 6. სახელმწიფო დრამის დასისა; 7. სახალხო ცენტრისა; 8. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და 9. რედაქციებისა: ,,სახალხო საქმე'' ,,საქართველო'', ,,ერთობა'', ,,საქართველოს რესპუბლიკა'', ,,გრუზია'', ,,სლოვო''. აღნიშნულ ორგანიზაციებს ევალებოდათ წარმოეგზავნათ თავისი წარმომადგენელნი სახელმწიფო დრამის თეატრში ბიბლიოთეკის ოთახში გუშინ 25

წეს—რიგის და ამასთან დაკავშირებული საკითხის გამოსარკვევად.

ყოველგვარი წერილები, დეპეშები და სხვა უნდა გამოიგზავნოს სახელმწიფო დრამის თეატრში დამკრძალავი კომიტეტის სახელზე.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება იქვე, ბიბლიოთეკის ოთახში კომიტეტის მორიგე წევრთან.

დაკრძალვის წეს-რიგი და დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სტამბოლის ცნობები.

გაზ. ,,ბოსფორის'' პარიზელი კორესპოდენტი იუწყება, რომ მოკავშირენი მეფე კონსტანტინეს ექს—იმპერატორის ვილჰელმის გოროტ ხელად სთვლიან.

— ტრაპიზონის ბერძნები აცხადებენ, რომ სიმართლეს მოკლებულია ცნობა იმის შესახებ, თითქოს ქემალ-ფაშას ანატოლიაში ბერძნული სოფლები გაენადგურებინოს.

— ამ დღეებში დიდი ოსმალური გემი ოსმალური დროშით მოდის ბათომში მგზავრებით და დიდძალ საქონლით.

(ბ. ფ.)

ქიამალისტების შორის.

მოლაპარაკება სტამბულთან.

ოსმალეთის მთავრობას მოლაპარაკებამ ანატოლიასთან სასურველი შედეგი გამოიღო. მინისტრთა საბჭომ ანგორის მთავრობასთან საგანგებო კომისიის გაგზავნა დაადგინა. ეს გადაწყვეტილება სულთანმაც მოიწონა. მისიაში შედიან: პრინცი აბდურაგიმი, შინაგან საქმეთა მინისტრი ახმედ იზეტ ფაშა და ზღვათა მინისტრი და გენერალ. შტაბის უფროსი.

მოქმედების გეგმა.

სტამბულის პრესა იუწყება: ქიამალისტები თვის ჯარებს იგდირის მიდამოებში აგროვებენ. ამ რაიონში მათ 15 ათასი კაცი ჰყავთ. შეიძლება ბოლშევიკებთან კავშირის შეკვრა. ქიამალისტები ადანის ფრონტზედაც ენერგიულ მუშაობას ეწევიან. მათ ბრუსას და სმირნას ფრონტზედაც შეტევის დაწყება ჰსურთ. ამ მოქმედებას უფრო პოლიტიკური ხასიათი აქვს, ვიდრე სამხედრო. ასეთი მოქმედებით ანგორის მთავრობას პრესტიჟის აღდგენა ჰსურს.

ქემალ ფაშამ მის მარჯვენა ხელად გაიხადა და განუსაზღვრელ უფლებებით აღჭურვა კერასუნდის მთავარმართებელი ოსმან ალი აღა. ოსმან ალი აღა ცნობილია, როგორც სისხლის მოყვარული და დესპოტი კაცი. იგი უკვე შეუდგა მოვალეობის ასრულებას, ჩამ ყველა არა ქემალისტს აუკრძალა იარაღის ტარება, და გასაოცარ სისასტიკით ანხორციელებს მობილიზაციას.

ინგლისელ ვაჭრების პროტესტი.

ბათომის ყოფილ კომისრის ჩხიკვიშვილის მიმართ.

სტამბოლში მყოფი საქართველოს მისიის წარმომადგენელი აუწყებს გარეშე საქმეთა სამინისტროს: მისიის ბინაზე მოვიდნენ ინგლისელი ვაჭრები კაპიტანი ვალტერი და ბერლენი, რომელთაც შემდეგი განაცხადეს: სექტემბრის 3 ს ბათომის საგანგებო კომისარი ადგილობრივ ბანკის დირექტორის ლონტის თანხლებით შემოიჭრა ჩვენს საწყობებში და უდიერად მოეპყრა მოსამსახურეებს. იკითხა რად ვყიდდით საქონელს უცხო ვალიუტაზე და გვიბრძანა რომ მხოლოდ ქართულ ფულზე გვევაჭრა. ჩხიკვიშვილმა პროტესტი განაცხადა აგრეთვე წიგნების არა ქართულ ენაზე წარმოებისათვის და სხვა.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო აღნიშნული ვაჭრები პროტესტს აცხადებენ და სათანადო განმარტებას მოითხოვენ. (,,სამ. საქ.'').

უცხოეთში

ირლანდიის საკითხი.

არტურ ჰენდერსონმა თემთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიც საპარლამენტო ანკეტას ითხოვს ინგლისის მთავრობის მიერ, ირლანდიაში წარმოებულ რეპრესიების გამოსარკვევად.

ჰენდერსონმა, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ სინფეინერების დანაშაულობანი, გამოწვეულია მთავრობის ,,დამჯერი ზომების'' პოლიტიკით, რაც არსებითად, პროვოკაციული პოლიტიკა არისო.

ჰენდერსონს უპასუხა ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა გრინვუდმა, რომელმაც განაცხადა:

— ის, რაც დღეს ირლანდიაში ხდება, კარგად მოწყობილი და შესწავლილი შეთქმულებაა ბრიტანიის იმპერიის დასანგრევად.

ამ შემთხვევაში, მე ვსარგებლობ სიტყვა-სიტყვით, კორკის ლორდ-მერის გამოთქმით. ირლანდიის ხალხი, როგორც ასეთი, არეულობაში დანაშავე არ არის და ამიტომ რეპრესიული ზომებიც მის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ირლანდიაში ჩვენ მოვსპობთ ტერორს და აღვადგენთ წესიერებას,—მრავალ ბედკრულს წესიერება უკვე სდგება.

რესიული ზომების, მაგრამ ამ [illegible] მესმის იმ პოლიტიკის [illegible] ობა, რომელიც [illegible]

ლორდ რობერტ სესილმა და ასკვიტმა აღნიშნეს, რომ რეპრესიები საზღვარს სცილდებიან და უკვე დანაშაულობად იქცევიან უბრალო მოქალაქეთა მიმართ.

ირლანდიის ადმინისტრაცია, მათი სიტყვით, ამ უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში სამარცხვინო ნაკვალევს [illegible] ინგლისის ისტორიისთვის.

ორივე ორატორს უპასუხა ბონ ლოუმ:

ასკვიტის მომხრენი ამბობენ—განაცხადა მან—რომ ჩვენ ქედი უნდა მო ხაროთ ბოროტმოქმედებათა წინაშე, ნი, ვისი სახელითაც თქვენ სტატს- რეტარი გულაპარკით, თქვენზედ ნაკ არ ილტვიან ირლანდიის მშვიდობი განწყობილებისათვის—ისინი თან არიან მიაკუთვნონ მათ ყველაფერ რაც სამართლიანია, მხოლოდ მათ მო ხოვნილებათა მშვიდობიანი განხილვ მაგრამ არ სურთ მათ მისცენ ის რაც რაც მიღწეული იქნება, როგორც და მიბა ჩადენილ ან ჩასადენ მკვლელ ბათა შიშის წინაშე.

კამათის შემდეგ ჰენდერსონის წ დადება უარყოფილი იქმნა 346 ხმ 79-ს წინააღმდეგ.

ნაწილობრივი ამნისტია საფრანგეთში.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა მილერა შეამსუბუქა მისდამი წარდგენილ ს ჯელთა მთელი რიგი. 5 შემთხვევა სიკვდილით დასჯა შეცვლილი იქ უვადო კატორღით და 2100-ს შეუმ ბუქა სასამართლოს მიერ დადგენი სასჯელი.

ებრაელთა ანტი-ბოლშევიკურ ბატალიონი

პარიზის პრესის ცნობით, პროს როვში, ვიდრე იგი დაპყრობილ ი ბოლშევიკების მიერ, ებრაელები ად დენ ანტი-ბოლშევიკურ ბატალიონს, მელიც უკრაინის სარდლობას დაქ დებარებოდა.

უკრაინის ყვითელ-ცისფერ დროშ გან იგი სხვავდება ცისფერი ნიშნით. ბატალიონმა დასტოვა პროსკურ უკრაინის ჯარების ნაწილებთან ერთ

ებრაელები სავინკოვთან ბალახოვიჩთან

პოლონეთის პრესის ცნობით, ებრა თა პრესის წარმომადგენლები მიღ იქმნენ სავინკოვის მიერ და მასთან ს ბაიში გამორკვეულ იქმნა დამოკიდებ ლება რუსული პოლიტიკური კომ ტისა ებრაელთა საკითხთან. საუბა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე გენ ბულაკ-ბალახოვიჩმა, რომელმაც და წმუნა პრესის წარმომადგენლები მა ჯარის თვინიერ განზრახვებში და ფ ტებით დაამტკიცა რომ იმ ადგილებ საიდანაც მისმა ჯარებმა ბოლშევი განსდევნეს, არც ებრაელნი და არც სხ მცხოვრებნი არ დაზარალებულან.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შე მიღწეულ იქმნა შემდეგი შეთანხმება: ვინკოვი და ბალახოვიჩი ვალდებულ სთვლიან თავს, ყველა საშუალებით ნაღუდგნენ ანტი-სემიტურ გამოსვლ ხოლო ებრაელნი მხარს უჭერენ რუ ლი პოლიტიკური კომიტეტის მუშა ბას.

დეპეშე

ფრანგული პრესა.

განიარაღების კომისიაში ლეონ რჟუამ განაცხადა: საფრანგეთს შეუძლია განიარაღდეს მაშინ, წინასწარ არ იქნება შესრულე ორი პირობა: 1. გერმანიამ უნდა სრულოს ვერსალის ხელშეკრულ ყველა პირობა და განსაკუთრებით რომელიც განიარაღების საკითხს ეხ 2. საკანტროლო და საგამომძიებ კომისია უნდა შესდგეს და მოქმედე შეუდგესო.

გერმანული ცნობები.

გერმანია და ვერსალის ხ შეკრულება.

გერმანიის პრესა ეხება გავასის ბას იმის შესახებ, რომ ზელგის რობას ფერენბახისა და სიმონსის რეინის ოლქში წარმოთქმულ სი ბიდინ გამოჰყავს ის დასკვნა, თით კანცლერსა და საგარეო საქმეთა ნისტრს სურდათ ვერსალის ხელშ ლობის იმ მუხლის დარღვევა, რომ ეიპენსა და მალმედს ეხება. ,,ბერლ ტაგებლატი აღნიშნავს, რომ ა არა სთვლიდა ხელშეკრულების ღვევათ იმასა, როდესაც მთელ წლის განმავლობაში საფრანგეთი ნისტრები პროტესტს აცხადებენ ლორენის დაკარგვის გამო. სოც. გაზ. ,,ფორვერტს'' არა სჯერა, ინგლისსა და საფრანგეთს მტ სჯეროდათ ის, რომ გერმანიას ლის ხმის ამოუღებლივ და უყუ ბოდ დატოვება თავის თანამემამ შევიწროვებისა.

გერმანია და პოლონეთ

ვარშავაში მყოფმა გერმანიის პოლონეთის მთავრობას პროტ

ქეხადა იმ უწესობების გამო, რომელიც გერმანიის ყოფილ პროვინციებში ხდება; ელჩმა მოითხოვა გერმანიის საწინააღმდეგო აგიტაციის შეწყვეტა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ეკონომიური და სხვა გვარი დამოკიდებულების დამყარებაო.

ბოლშევიკები და ქემალისტები.

საფრანგეთის პრესის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით დამოკიდებულება ბოლშევიკებსა და ქემალისტების შორის მეტად გამწვავებული ყოფილა. ამის მიზეზია ბათომისა და აზერბაიჯანის საკითხები.

ყირიმიდან ლტოლვილნი.

სტამბოლიდან მოსულ ცნობებით ყირიმიდან გადმოხვეწილთა რიცხვი 139.200 უდრის, ამათგან 110000 ვრანგელის ჯარის კაცია.

რუსეთის ცნობები.

არეულობა ირლანდიაში.

ირლანდიის უმთავრეს ქალაქ დუ ლინში მოკლულს 12 ინგლისელი ოფიცერი, 2 პოლიციელი. ირლანდიის რევოლიუციონერებმა წინასწარ მოაწყვეს იმ ოფიცრების ბინებზე თავდასხმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ სამხედრო სასამართლოში. აჯანყება ჩააქრეს.

მუშათა გაფიცვა პოლონეთში.

ჟირარდოვში მუშათა გაფიცვა მოხდა. ლოძის რაიონში გაფიცვა გრძელდება.

,,პრავდას წერილი.

მოსკოვი. 24 11. „პრავდა" სწერს: „რევოლიუციამ თავისი პოლიტიკური საფეხური გაიარა, დაამხო რა ბურჟუაზიული ძალა უფლება და დაამყარა სახელმწიფოებრივი ახალი სისტემა საბჭოები. მაგრამ ჩვენი მრეწველობის ტეხნიკური გაუმჯობესებისათვის არაფერი გაგვიკეთებია. ყრილობის და კონფერენციების მოწვევით ჩვენ პოლიტიკური ინტერესების წრეებში თავს ვუყრიდით მასას, პროფ. კავშირთა საშუალებით მუშები თავს იყრიდენ ეკონომიურ ინტერესების გარშემო. ეხლა ჩვენ პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ტეხნიკური ინტერესები. გერმანიაში. სიმონსის განცხადებით გერმანიამ თვის დამლევამდე ინგლისს უნდა გადაუხადოს 10 მილიონი გირვ. სტერლინგი, საფრანგეთს კი 70 მილიონი.—ინგლისში ზედა პალატაში კერზონმა განაცხადა: მიუხედავათ ოპოზიციის მტკიცებისა, ინგლისს სპარსეთის პროტექტორატის უფლება არა აქვს, მხოლოდ სურს, რომ მას დაეხმარონ. ლიბერალურ წრეებში ლოიდ ჯორჯის კაბინეტი მტკიცეთ არ მიაჩნიათ. ფიქრობენ, რომ ლოიდ ჯორჯი შეეცდება მემარჯვენეების თანაგრძნობა დაიმსახუროს. თემთა პალატაში შეკითხვა იყო შეტანილი: იცის, თუ არა მთავრობამ მუსტაფა ქემალის ცდა ბოლშევიკებთან შესაერთებლად და იქონიებს, თუ არა გავლენას ეს საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრაზე: გარმსვორდმა განაცხადა: მთავრობას ასეთი ცნობები არ მიუღიათ.

საფრანგეთში

საზღვაო მინისტრმა ლანდრიმ გააცნო რა პრესას საზღვაო პროგრამა მოითხოვა ახალ 6 სწრაფმსვლელი კრეისერი და 12 წყალქვეშა ნავი ხმელთა შუა ზღვაზე გეგემონიის დასამყარებლად.

უნგრეთში

უნგრეთში მუშათა 65 პროც. უსაქმოთ არის, ისინი სახელმწიფოდან არავითარ დახმარებას არ იღებენ. ცხოვრება 5000 პროც. გაძვირდა ხელფასი კი 1500 პრ. გადიდდა. ბუდაპეშტში უკანასკნელი არეულობის დროს ხორტის ჯარი მუშებს ესროდა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ბუდაპეშტში ანტი-სემიტური ექსცესები განახლდა. უკანასკნელი რბევის დროს დაჭრილია 500 კაცი.

საბერძნეთში

ათინაში საფრანგეთის ელჩმა განაცხადა: თუ საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინე დაბრუნდა, საფრანგეთი დიპლომატიურ დამოკიდებულებას შესწყვეტს საბერძნეთთან.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. ნოემ. 24 მოზირის ჩრდილოეთით ბალახოვიჩის ჯარის დარჩენილი ნაწილი გაყინულ მდ. იპაზე გადავიდა, მათ ჩვენი ჯარი მისდევს. ჩრდილოეთ დასავლეთის მიმართულებით რამოდენიმე ასეული კაცი გარბის. დამატებითი ცნობებით პეტლიურას წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჩვენ 12000 ტყვე წამოგვიყვანია ხელთ ვიგდეთ 3 ჯავშნიანი მატარებელი.

ახალი საფრთხე.

მოსკოვი. 25, საბჭოთა რუსეთის წინ სდგას ახალი მიზნები. პოლონეთის ზავმა და ვრანგელის დამარცხებამ ვერ გაანთავისუფლა მუშები და გლეხები ახალი მუშაობისაგან. ამხ. ტროცკიმ სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენ ჯერ თი საათი არა გვაქვს გამარჯვების სარგებლად, თოფი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში უნდა გადავიტანოთ და მარჯვენა ხელში ჩაქუჩი უნდა დავიჭიროთო, ბრძოლა სიმშილთან, სიღარიბესთან და ავადმყოფობასთან აი ჩვენი მთავარი მიზნები, რომელზედაც ჩვენ ვერ გაგვიმარჯვია ისე, როგორც გავიმარჯვეთ ვრანგელზე.

უცხოელები და რუსეთი.

სახ. კომის. საბჭომ გამოსცა დადგენილება, სადაც აღნიშნულია, თუ რა პირობებში შეუძლია საბჭოთა მთავრობას ნება დართოს უცხოელებს რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებისა. საბჭოთა მთავრობა დიდი ხანია უცხოელ კაპიტალისტებისაგან იღებს ცნობას, რომ მიეცეს მათ ეს უფლება და საბჭოთა რუსეთი მართლაც საჭიროებს გამოცდილ ძალებსა და დიდს მატერიალურ საშუალებებს იმისთვის, რომ შექმნას დაუშრეტელი წყარო ნედლი მასალისა, როგორც ადგილობრივ დასამუშავებლად ისე საზღვარ გარედ გასატანად, ახალი კანონი ნებას აძლევს უცხოელ კაპიტალისტებს დაიმუშავონ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრე აქედან უფლება ექნებათ ნაწილი საზღვარ გარეთ გაიტანონ სამაგიეროდ საბ. მთავრობა პირობას იძლევა, რომ წარმოებაში დახარჯულ ქონებას რეკვიზიციას, კონფისკაციას და ნაციონალიზაციას არ მოუხდენს თავის წარმოებისათვის მათ უფლება ეძლევათ საბჭ. რუსეთში დაიქირავონ მუშები, შრომის არსებული კანონის მიხედვით. წითელმა ჯარმა პეტლიურას ჯარი საბოლოოდ დაამარცხა. პეტლიურას ჯარი გაიქცა პოლონეთში, სადაც იგი განიარაღეს. პეტლიურა თავის მახლობლად აღმოსავლეთ გალიციაში იმყოფება.

ს. დ. ს. ბანკ. ცნობები.

სიძვირე საფრანგეთში.

პარიზი. საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, რომ ყოვლად შეუძლებელია სიძვირის შეჩერება პირველ, საჭიროების საგნებზე ნიხრისა და სხვა შემზღუდველ ზომების შემოღებით. სულ ერთია მომხმარებელი მაინც გამოძებნის გზას, რომ გვერდი აუაროს ამ შეზღუდვას, რის შედეგიც ფასების ახალი მომატება იქნება. მოქალაქეებმა თვით უნდა შეიზღუდოს თავისი თავი და ცხოვრებაში გაატარონ სამეურნეო ეკონომია რომელსაც შეუძლია გაანმრთელოს საფრანგეთის ეკონომიური ცხოვრებაო.

ნახშირის კრიზისი.

ბერლინი. რურის ოლქში ნახშირის სიმცირის გამო მუშაობა შეჩერდა რამდენიმე ღუმელისა. ამის გამო დაითხოვეს რამოდენიმე ათასი მუშა. ბერლინის გაზეთების ცნობით ჰამბურგში მოსულა ამერიკის—გემი, რომელსაც გერმანიისათვის ნახშირი მოუტანია. ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ გერმანიაში ქვანახშირის სიმშილი არსებობს.

საბერძნეთი და ანტანტის სახელმწიფონი.

დეპუტატთა პალატის სხდომაზე ჟორჟ ლეიგმა განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხში საფრანგეთი იტოვებს უფლებას იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს რომ საფრანგეთს არა სურს საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევა, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ტახტზე მოიწვევს მოკავშირეების მტერთა მომხრეებს—მაშინ საბერძნეთმა უნდა იცოდეს, რომ იგი მოკავშირეების მხრივ ვერ იპოვის იმგვარ დახმარებას და ვერ იქონიებს იმგვარ განწყობილებას, როგორიც აქამდის არსებობდა. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისის მთავრობასთან და ამ საკითხის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოსატანად იგი ლოიდ ჯორჯს შეხვდება.

ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენცია შესდგა ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით. ინგლისის წარმომადგენლათ კონფერენციის სხდომას დაესწრო ლინდლი. კონფერენციამ დაასრულა იმ საკითხების განხილვა, თუ როგორ უნდა მოხდეს გერმანიის სამხედრო მასალათა ლიკვიდაცია.

ერთა ლიგაში,

ოთხშაბათს სხდომა არ ყოფილა, კომისიები გაძლიერებულათ მუშაობენ სამხედრო, საზღვაო და საჰაერო კომისიათა სხდომა შესდგა ხალხთა სასახლეში. კომისიის მიზანი იყო თანახმად ვერსალის ხელშეკრულებისა შესწავლა შეიარაღების შემცირების საკითხისა. ერთა ლიგის საბჭომ განიხილა სომხეთის საკითხი და ვივიანის მიერ შემოტანილი პროექტი შუამდგომლობის შესახებ.

მარკოვი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

— ბერლინის პრესას მოჰყავს სიტყვა მარკოვისა, რომელმაც მუშათა კრებაზე სასტიკი კრიტიკა გაუკეთა ბოლშევიკურ წესწყობილებას. მარკოვი მოუწოდებდა ევროპის მუშებს, პროტესტი განაცხადონ წითელი ტერორის წინააღმდეგ საერთოდ და კერძოთ რუსეთში. რუსი მუშა უნდა განთავისუფლდეს მომაკვდინებელ წითელი ტერორისაგან—განაცხადა მარკოვმა.

სომხეთის ფრონტის მდგომარეობა.

ოსმალურ ცნობების მიხედვით სომხეთის ფრონტზე სასტიკი ბრძოლები სწარმოებს. გამარჯვება სომხების მხარეზეა. ქემალისტების მდგომარეობა ალანის რაიონში სერიოზულია.

საბერძნეთის ამბები

პრინცები ანდრია და ქრისტოფორე ათინაში ჩავიდენ. გენ. დუსმანისი რა დაინიშნება სტამბოლში მყოფ მისიის მეთაურათ, იგი იმსახურებს დედოფალ ოლღასთან. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ არჩევნები შემდეგი ტაქტიკით იქნება გატარებული: წინადადებას მისცემენ ხალხს ერთსა და იმავე დროს ხმა მისცეს მეფე კონსტანტინესა და ვენიზელოსს. ამგვარად ფიქრობენ გავლენა მოახდინონ მოკავშირეებზე და სევრის ხელშეკრულება ძალაში დასტოვონ.

პატარა ფელეტონი.

საკუთრება

ვნახე სიზმარი, ვითომც ბოლშევიკები აქაც გამეფებულიყვნენ და სპობდნენ ყოველგვარ საკუთრებას: მდიდრებს ართმევდნენ მთელ სარჩო-საბადებელს და ღარიბებს შუა ანაწილებდნენ.

თუმცა გულში დიდი მოიხრე ვიყავ საკუთრებისა და დიდი მადაც მქონდა მისი, მაგრამ რაკი დავინახე, რომ ამ ,,განაწილებით" თუ არას მოვიგებდი, არაფერს დავკარგავდი—რაც არა მქონდა რა, აბა რას ჩამომართმევდნენ?—ფიცხლავ ბოლშევიკების მხარეს გადავედ. ისიც ძალიან მომეწონა, რომ ბურჟუა სპეკულიანტებს და მსუქან-მსუქან ახალ ბობოლებს ,,ნახალოვკა"-ში ასახლებდნენ და მათ აპარტამენტებში ჩემისთანა ღარიბებს და მუშა ხალხს ასახლებდნენ.

— აფერუმ! ბოლშევიკების თავი მიცოცხლოს!— ვყვიროდი მე აღტაცებული, როცა ნამიან, მინგრეულ-მონგრეულ ოთახიდან სოლოლაკის ერთ-ერთ ,,დვორეცში" ამოვყავ თავი. მაშინ კი ვიგრძენი, რომ თურმე აუნებითვე ბოლშევიკი ვყოფილვარ.

ვალების გაუქმებამ, ხომ პირდაპირ სიხარულისაგან გადამრია! ბიჭოს! ,,კურდს რა უნდა?—ბნელი ღამეო!" ჩემზე მეტი ვალი ვისა ჰქონდა?! ვალების გულისთვის კინაღამ თავი მოვიკალ!

დღე და ღამ მოსვენება არ მქონდა და მხოლოდ იმის ფიქრში ვიყავ: პირნათლათ გამოვიდე ჩემ მოვალეებთან და ყველას თავისი დავუბრუნო მეთქი... აქ კი ეს ბრძანება გამივიდა: ,,ყველა ვალები გაუქმებულიაო". ამ სამ სიტყვამ მთელი ჩემი პსიხიკა ხელათ გამოიცვალა და ყველა ჩემი მოვალეები კისრის ჩეხით ჩავაგორე კიბეზე!

— თქვე ოხრებო, საფრანგეთ-ინგლისმა მილიარდებზე ხელი დაიბანეს, აუარებელი სარჩო დაკარგეს რუსეთში და თქვენ ვინა გდიხართ, რომ რაღაც შვიდას რვაას თუმნისთვის მომდგომიხართ და მოსვენებას არ მაძლევთ მეთქი?! გაგიხარიათ, კუდით ქვა ვასროლინე! უ... უხ!

ღმერთიც უშველით ბოლშევიკებს! მათი ,,პრიკაზი"ს შემდეგ თითქო დიდი ლოდი მომშორდა გულიდანაო. სვინდისმაც მოისვენა (მართლაც და, ეგეც თურმე ,,Буржуазные предразсудки" ყოფილა!) მადაც მომეცა, ძილიც...

სწორე მოგახსენოთ, არც საქონლის და სურსათი განზოგადოებრიობა მეწყინა ეგრერიგათ, რადგან ყველა ,,ვიტრინებიდან" უცბათ გაქრა ის გემრიელი საჭმელ-სასმელი და ლამაზი ტანთსაცმელები, რომლის დანახვა უარესათ მიმლიდა იარებს და მაღიზიანებდა! ერთ გამწარებულ დღეს, როცა სახლში ხახვიც კი არა მქონდა და ,,ვიტრინებში" კი დაბრაწული გოჭი—ინდოურები ელაგა, ლექსიც კი გამოვთქვი: ,,ეს ვიტრინები". ეს

,,ვიტრინები!"
მათ დანახვაზე მე ვიღრინები!

კარგია რამ აალაგეს. თორემ, ღმერთის გეფიცებით, ერთ დღეს ჩავანტრევდი! გათავდა საკუთრების ჩამორთმევა: ყველა მდიდარი ჩვენსავით ფეხ-შიშველა დადიოდა... ჯერი მიდგა ახლა საკუთარ აზრის ჩამორთმევაზე... აქ კი გული გამისკდა, სწორე მოგახსენოთ! ყველაფრით ღარიბი ვიყავ, პირველ საჭიროების ნავთი: ჭიქა, თეფში, ლოგინი, საცვალი, ფეხსაცმელი არ გამაჩნდა, სხვისგან ვთხოულობდი, მაგრამ აზრი, შეხედულობა კი საკუთარი მქონდა და თავის დღეში არავისგან მისესხნია... ყველა მივყიდ—მოვყიდე, ასე გაშინჯეთ, უკანასკნელი ზეწარიც კი, მაგრამ საკუთარი აზრი ვერ გამოვიმეტე... ბევრჯერ დამდგომია გაჭირვება, ბევრჯერ წამძლევია სული, გამიტანია ,,დეზერტირების"... უკაცრავათ. ,,ჟურნალისტების ბაზარზე", მაგრამ უკანვე დავბრუნებულვარ გზიდან ვერ გამომიმეტნია. არ გამიყიდნია...

ახლა კი ჩამორთმევას მიპირებდნენ! მეც ავდექი და იცით რა ხერხი ვიხმარე? ჩავკეტე ჩემ დღიურში და ჩავფალი მიწაში! თუ მე ვერ ველირსე მის ამოღებას და გამომზეურებას, ეგებ მომავალში მაინც ვინმემ იპოვოს და ფასი დასდოს, თუ, რასაკვირველია არ დალპა მანამ... ახლა კი ფიცხლავ ისევ „ბურჟუა" გავხდი!

მოუსვენარი.

წისქვილების დაბეგვრა.

თბილისის მაზრის ერობის დადგენილებით წისქვილის პატრონებს დაეკისრათ ⅕ (ხუთწილის ჩამორთმევით) წისქვილის წლიური შემოსავლის (მიხდის) ნახევარი ერობის საწყობს წარუდგინონ, სადაც მიუთითებენ, ამ ვადებში: ორი მეხუთედი ამ გიორგობისთვის გასვლამდის, ორი მეხუთედი ქრისტეშობისთვისში და ერთი მეხუთედი მომავალი წლის აპრილამდის. ამ შეუძლებელმა ბეგარამ [illegible] წისქვილის პატრონები მეტად შეაფიქრა და იძულებული გახდა ამის გამო წისქვილის პატრონი ყრილობა მოიწვიათ. ეს ყრილობა დანიშნულია ს. საგარეჯოში, ამ გიორგობისთვის 28 (კვირას) ბანკის ბინაზე (ნ. მაზმიშვილის სახლში).

ყრილობის მიზანია:

1) ღონისძიების გამოძებნა, რომ მაზრის ერობისაგან დაკისრებული ბეგარა ან სრულებით აიცდინონ თავიდან, ანუ შეღავათიანი პირობებით გადაიხადონ იგი, და

2) წისქვილის პატრონთა კავშირის შედგენა და მისთვის უკვე დამზადებულ წესდების განხილვა და საბოლოოდ შემუშავება.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

დამზღვევი საზოგადოებანი. ნოემბრის 18 სხდომამ მოისმინა რა მოხსენება დამზღვევ საზოგადოებათა ყოველ გვარ საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროდან ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსადმი გადაცემის შესახებ მთავრობამ დაადგინა: მიენიჭოს უფლება ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ დაამტკიცოს წესდებანი ახლად დაარსებულ სააქციონერო საზოგადოებისა და შეცვალოს უკვე მოქმედ საზოგადოებათა წესდებანი. 2) მიენდოს ფინანსთა სამინისტროს თვალყურის დევნების უფლება საქართველოსა და უცხოეთის იმ დამზღვევ საზოგადოებებზე, რომელნიც დაარსებულია სააქციონერო საფუძვლებზე. ეს საზოგადოებანი უნდა ექვემდებარებოდეს ფინანსთა მინისტრს 3) მიენდოს ფინანსთა მინისტრს. რომ მან მოადინოს სათანადო ცვლილებანი რესპუბლიკის დამზღვევ საზოგადოებათა უკეთ მოსამწყობად. ყველა ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო სანქციას მოითხოვს.—დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას უნდა წარედგინოს.

— ნიორის გადატანა. მთავრობამ. მოისმინა რა შუამდგომლობა მომხმარებელ საზოგადოება „ძმობისა" საზღვარ გარეთ ნიორის გატანის ნებართვის მიცემის შესახებ. დაადგინა ნება დართოს საზოგადოებას შუამდგომლობაში აღნიშნულ ნიორის 25 პროც. გატანისა. საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს გატანაზე დაწესებული განსაზღვრული ბაჟი.

— წონისა და ზომის ახალი ნიხრი. მთავრობამ გადასწყვიტა წონასა და ზომაზე შემოღებულ იქნას გადიდებული ნიხრი.

— სავალუტო ოპერაციები. ნოემბრის 20 მთავრობამ დაამტკიცა სავალუტო ოპერაციის შემოღებისათვის საჭირო ინსტრუქციები, რომელიც შედგენილია 1920 წლის ოქტ. 16 განსაკუთრებულ თათბირის მიერ შემუშავებულ სავალდებულო დადგენილების მე 9 მუხლის თანახმად. ინსტრუქციის ძალით საქართველოს სახელმწიფო ბანკი იძლევა ნებართვებს შეიძინონ უცხო ვალუტა იმ საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთაც უფლება აქვთ სავალუტო ოპერაციების წარმოებისა: 2) საზღვარ გარეთ გასამგზავრებლად: შეიძლება უცხო—ვალუტა გადაეგზავნოს საზღვარ გარეთ მცხოვრებ ქართველებს და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთ ოჯახებს. 2) უცხო ვალუტის შეძენა შეიძლება აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო მიზნებისათვისაც და სხვ. საჭირო არ არის განსაკუთრებული ნებართვა კანონით განსაზღვრულ (100 გირვანქა სტერლინგი) უცხო ვალუტის გატანათ. თუ ნიხრზე მეტ ვალუტის გატანის ნებართვით არ უსარგებლიათ იგი უკანვე უნდა იქნეს დაბრუნებული, თუ მით ისარგებლიათ ნაწილობრივ უნდა აღინიშნოს როდის, რომელ დაწესებულებაში, რომელი და რამდენი ვალუტა იყო შეძენილი. შინაური დაზღვევა ხდება მარტოთ მარტო ადგილობრივი ბონებით; დამზღვევ საზოგადოებებს უფლება ეძლევა მიიღონ ჯილდოები უცხო ვალუტათ (იგი სახელმწიფო ბანკში უნდა ინახებოდეს), გადაიხადონ გემებისა და მათი მოსამსახურეებისათვის მისაცემი ფული უცხო ვალუტით და სხვ. კერძო ბანკებმა ყოველ დღიურად უნდა წარუდგინონ სახელმწიფო ბანკს ცნობები ვალუტის ყიდვა გაყიდვის ანგარიშების შესახებ. მიუხედავათ იმისა მოხდა თუ არა ამა თუ იმ დღეს ოპერაციები უცხო ვალუტით.

სხვა და სხვა.

— მილიციაში. ნოემბრის 23-ს, სისხლის სამართლის მილიციამ შტაბის ქუჩაზე შეიპყრო უცხო ვალუტით მოვაჭრე მიკირტიჩ არუთინოვი და რუბენ ვართანოვი.

— ნოემბრის 23 ს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ცნობილი აფერისტი მაქან აპინცი, რომელიც ყალბი დოკუმენტებით ხალხს ფულს სტყუებდა.

— ბრძოლა ბოროტ-მოქმედებათან. მუშათა მაგიდა აქვეყნებს იმ პირთა ახალ სიას, რომელნიც უკანონოდ სარგებლობდენ ორი ადგილიდან პურითა და სხვა სურსათ-სანოვაგით. ამ სიაში 11 პირი შედის: 1) ე. ქებაძე, ირიცხება კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირში და დამატებით სიებში, 2) ი. ლევჩენკო ირიცხება მილიციის რეზერვსა და სახელმწიფო თეატრში, 3) ტერ გრიგორიანცი ირიცხება არსენალსა და თამბაქოს ქარხანა „კომეტაში", 4) დევიძე ირიცხება მეოთხე კომისარიატსა და კათოლიკოზის საბჭოში, 5) ე. დეკანოზიშვილი ირიცხება სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ერობაში, 6) ე. ქარუმიძე ირიცხება რეალურ სასწავლებელსა და ქალაქის თვითმართველობაში, 7) გაბრეჯაშვილი ირიცხება წამლის საკეთებელ სახელოსნოსა და სამხედრო შკოლაში, 8) აპოსტოლოვისა ირიცხება ქალთა მე-3 გიმნაზიასა და კინო თეატრ „მინიონში" 9) ა. თუმანოვი ირიცხება სახელმწიფო შემნახველ გამსესხებელ კასასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში, 10) გ. თულაშვილი ირიცხება სახელმწიფო ბანკსა და საოლქო სასამართლოში, 11) ა. საზანბეგობისა ირიცხება ხან სალნაღის ელექტრონის სადგურისა და თოფის წამლის ქარხანაში. აღნიშნული პირები მიცემულნი იქნებიან სამართალში: მათ მოესპობათ აგრეთვე ულუფა.

— აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: ყველა მიმართვა შრომის სამინისტროს სახელზე, რომელიც ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ იქნება გაგზავნილი, უნდა გატარდეს ცენტრალურ საბჭოს კომიტეტში. თავის მხრივ შრომის სამინისტრომ თავის ცირკულიარები სხვა და სხვა პროფ. ორგანიზაციათა მიმართ აღმასრულებელ კომიტეტის საშუალებით უნდა გააგზავნოს.

— რკინის გზელთა ყრილობა. რკ. გზელთა ცენტრალურმა მმართველობამ გაუწია რა ანგარიში შექმნილ მდგომარეობას და აქტიურ მოხელეთა ჯარში გაწვევას, დაადგინა: რკ. გზის მოსამსახურეთა და სახელოსნოებში მომუშავეთა დელეგატების მე 3 ყრილობა დროებით გადასდოს.

— სამხ. სამ. ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ გამოცემულია ქართულ ენაზე კედლის სასწავლო ნახევარ-სფეროების რუკები, რვა თაბახზე, შვიდ ფერადათ დაბეჭდილი. ცალკე ეგზემპლიარის (8 თაბ.) ფასი სახელმწიფო და ერობის სკოლებისათვის 2000 მან., სხვა უწყებათა და კერძო პირთათვის 000 მან.

ვინაიდგან ფრიად მცირე რიცხვია დაბეჭდილი ხსენებულ რუკებისა. ამიტომ რესპუბლიკის სკოლათა შორის თანაბრად განაწილების თვალსაზრისით ყოველ სკოლის წარმომადგენელს, რუკების მიღების დროს, თან უნდა ჰქონდეს სათანადო მოწმობა სკოლის გამგისაგან ან ერობიდან.

მისამართი: გენერალურ შტაბის შენობა, დამფუძნებელ კრების ქ.

ბათომში.

განსაკუთრებულ რწმუნებულის ბრძანებით უცხოეთში მიმავალთ შეუძლიათ საზღვარ-გარეთის პასპორტი ბათომშივე მიიღონ.

— ყოფილ ოლქის კომისარს ლ. შენგელიას განკარგულებით დაატუსაღეს დიდი პროვოკატორი სარიფ-ბეგი, რომელსაც აღმოაჩნდა საქართველოს საწინააღმდეგო საბუთები.

— ჩაქვის მცხოვრებლებმა ყოფილ ოლქის კომისარს გადასცეს პროვოკატორი მოლა ზოიძე.

— ბათომის ქართველ ქალთა წრის გამგეობამ დაადგინა 100.000 მანეთი გადასდოს ფრონტის სასარგებლოდ.

ამას გარდა გამგეობამ დაადგინა გაანთავისუფლოს სწავლის ფულის გადახდისაგან ქალთა და ვაჟთა გიმნაზიაში ხუთ ხუთი უღარიბესი მოსწავლე.

ნავთსადგურში.

— ბათომის სავაჭრო პორტის უფროსის ბრძანება. ამით უცხადებ შემოსულ და მდგომ ორთქმავალ და იალქნიან გემებს რომ ისინი იმყოფებიან პორტში დგომის დროს რესპუბლიკის მფარველობის ქვეშ და უპირობოდ ემორჩილებიან პორტში არსებულ წესებს და იმ დადგენილებებს, რომელნიც მომავალში მათ შესახებ გამოიცემა. არსებული წესების არ დამორჩილება ან ადმინისტრაციის საქმეში ჩარევა აღკვეთილ იქნება კანონის მთელი სისასტიკით.

— ხალხთა ლიგის დროშით შემოსული არგენტიდის სააგენტოს გემი ,,კონსტანტინე" მიემგზავრება სალონიკში.

— იტალიის დროშით ტარენტო-კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა იტალიის გემი ,,ფრანც იოსებ კოროლი," ჩამოიტანა 44 ტონი საქონელი" 24 ნოემბერს გემი წავა კონსტანტინეპოლში და შემდეგ ტარენტოში.

— გემების მოიჯარადრე ინჟ. ნ. გეგეჭკორის გემების საჭიროებისათვის მიეცა საჭირო სათბობი მასალა.

— იტალიის გემ. ,,სიკანია"-ს კონსტანტინეპოლიდან ჩამოუტანია მთავრობისათვის 6000 ფუთი გაზეთის ქაღალდი. ქაღალდის გადატვირთვა უკვე დაიწყეს ვაგონებში თბილისს წასაღებათ.

ავიაცია.

ნოემბრის 20 საფრენოსნო [illegible] ლოში პოლ. [illegible] გააკეთა ევროპას ფრენოსნობის შესახებ. მოხსენებელის სიტყვით ინგლისს ყავს 120,000 კაცისაგან შემდგარი საფრენოსნო ჯარი. ამ 120,000 კაცისაგან 60,000 მფრინავია. მოხსენებელი ადარებს ინგლისს რუსეთს, რომელსაც 1914 წელს ფრონტზე 80 მფრინავი ჰყავდა. ომის დროს ანტანტა რუსეთს აწოდებდა ფრენოსნობისთვის საჭირო სხვა და სხვა ნივთებსა და მასალებს; ამ ჟამად რუსეთის საჰაერო ფლოტს შეადგენს 68 ესკადრილია. ფრენოსნობის მხრივ ყველაზე მაღლა სდგას იტალია, რომელიც მთელი ევროპისთვის ამზადებს აპარატებს. ფრენოსნობის კონკურსზე ყოველგან იტალია იმარჯვებს. საფრანგეთის მფრინავებს უჭირავთ მე-2 და მესამე ადგილი. საფრანგეთი ამ ჟამად ამზადებს იაფი ტიპის აპარატებს ტურისტებისთვის. ახალს აპარატს ამზადებენ გერმანიაში. ამ ჟამად ევროპაში დიდ განვითარებას აღწევს კომერციული ფრენოსნობა, სადაც პირველი ადგილი საფრანგეთსა და ინგლისს უჭირავს. თანამედროვე გიგანტიურ აპარატებს 2,000 ცხენის ძალა აქვთ და იტევენ 60 მგზავრს. მათ ძირს დაუშვებლად შეუძლიათ ჰაერში 36 საათს გაჩერდნენ. ტეხნიკამ ამ დარგში დიდ განვითარებას მიაღწია და მრავალი მფრინავი აკრობატათ გადაიქცა თავის დარგში. ფრანგმა მფრინავმა 3 საათის განმავლობაში 962 მკვდარი ყურთმაჯი გააკეთა. პარიზსა და ლონდონს შორის საფრენოსნო საზოგადოება მოქმედებს. გადაფრენას მხოლოდ 3 საათი სჭირდება. შემოღებულია ბილეთებზე წინასწარი ჩაწერა. ბინიდან ჰაეროპლანამდე და პირიქით ბინამდე მგზავრებს მიჰყავთ საგანგებო ავტომობილებით. ბილეთები იყიდება კუკის სააგენტოში. მსურველები იმდენათ ბევრია, რომ რამდენიმე დღით ადრე ეწერებიან. გადასაფრენის ფასში შედის სიცოცხლის დაზღვევაც. მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ 4-ჯერ გადაიხადეს დაზღვევის ჯილდო.—მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბრწყინვალე მომავალი მოელის ფრენოსნობის განვითარებას საქართველოში, რომელსაც აქვს საკუთარი, საავიაციო სახელოსნოები და ჰყავს გამოცდილი მფრინავები. „ჰიდრო" ფრენოსნობისათვის მეტად კარგია საქართველოს ნავთსადგურებში არსებული ბუნებრივი პირობები. ფრენოსნობამ დასავლეთში დღეს განვითარებას მიაღწია. იტალიელები ალპებზე ჰაერო-ნავებით დაფრინდენ. ჰიდრო-ფრენოსნობა აადვილებს ზღვის 6 პირების დაცვის საქმეს. საქართველოში—განსაკუთრებით კარგი პირობებია კომერციული ფრენოსნობისთვის. თფილისიდან კავკავში გადაფრენისათვის მხოლოდ 40 წუთი იქნება საჭირო; ამგვარად ფრენოსნობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ მისი მოწყობა არც ისე ძნელია, 5—6 კაცის დასატევად საჰაერო 4 აეროპლანის შეძენა შეუწყვეტელი მიმოსვლის მოსაწყობათ. ფასი ავტომობილის ფასზე ნაკლები იქნება, კარგ ჰაეროპლანებით მოგზაურობა საშიშროებას სრულიად არ წარმოადგენს: სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მსხვერპლი ჰაერში ფრენის დროს უფრო ნაკლებია, ვიდრე რკინის გზებზე. ყოველივე ხარჯი, რომელიც ამ საქმის მოსაწყობათ გაიღება, 1 წლის განმავლობაში იქნება ანაზღაურებული.

სენატში.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წლის 26 ნოემბრის საჯარო სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე გარდაცვალებული მაშადი გულამ ოღლი შარიფოვის ობლების პატრონების და ქონების მოურავის რაჰიმ ალიევთან ანგარიშის მოთხოვნის თაობაზე.
2. საქმე აბრამ პაპუაშვილის დიმიტრი მოლაშვილთან მამულის თაობაზე.
3. საქმე გარდაცვალებულ არჩილ ბრეგაძის ობლების და ქონების მოურავის—ფილომონ ბრეგაძის ბარბალე პოდკოლზინთან ადგილის თაობაზე.
4. საქმე მურზა ნოდიას და ფარნა ნოდიას პეტრე, დიმიტრი, ექვთიმე, პორფილე ქობოლავებთან და ანდრია ჯანჯღავასთან გზის თაობაზე.
5. საქმე მიხეილ ქელენტის. ჯიმშეთი გიორგაძის და ამბაკო ცინცაძის იუგ ჩიგოგიძესთან 4000 მანეთის თაობაზე.
6. საქმე ბესარიონ ბექაიას კიმოთე ბექაიასთან გზით სარგებლობის თაობაზე.
7. საქმე სტეფანე ძმანაშვილის ნიკა მაისაშვილთან 3600 მანეთის თაობაზე.
8. საქმე სპირიდონ და ვლადიმერ აბაშიძესთან წისქვილის შემოსავლის 1 მეოთხედის თაობაზე.
9. საქმე გარდაცვალებულ ალავერდა ნატროშვილის ობლის და ქონების მოურავის—ბესო ნატროშვილის ანტა ნატროშვილთან 1310 მანეთის თაობაზე.
10. საქმე ნიკა ჰქიძის და გარდაცვალებულ ვასილ ჰქიძის ობლის და ქონების მოურავის ივანე ჰქიძის თადო და ბესიკო ელიოზიშვილებთან მამულის თაობაზე.

სასამართლოში.

გენ. მაზნიაშვილის და სხვ. საქმე.

დამც. ი. ჯავახიშვილის სიტყვა.

(დასასრული)

იმ მოხსენებიდან, რომელიც ღენ. მაზნიაშვილმა გაუგზავნა სამხედრო სამინისტროს ახალციხეში ჩასვლისთანავე—2 თებერვალს, სჩანს რომ მაშინ ყოფილა ღენ. მაზნიაშვილის განკარგულებაში 946 კაცი, და მათ რიცხვში 215 ჯარისკაცი აწყურში იდგა, ხოლო 731—ფრონტზე.

შემდეგ მას მიუმატეს ორას კაცამდე.

ღენ. მაზნიაშვილს ფრონტის სარდალს ეძახოდნენ, და მას ხეირიან შემადგენლობის ბათალიონიც არ ჰყოლია.

რა ზომები უნდა მიეღო ღენ. მაზნიაშვილს, რომ ამ ნაკლს—ჩვენ ჯარის მცირე რაოდენობას—არ შემოეტანა ზიანი სამხედრო საქმისათვის?

ის აწარმოებს მოლაპარაკებას მეზობლებთან, რათა უსისხლოთ მორიგებით გაათავოს მათთან საქმე!

უკიდურეს შემთხვევაში—მოიგოს დრო რომ მოუვიდეს მას მაშველი ჯარი:

მეორეს მხ. იგი დეპეშას დე—ზე გზავნის სთხოვს ცენტრალურ სარდლობას, რომ მაშველი ჯარი გამოუგზავნონ! ამას სწერს იგი 2-ს, 6-ს 9-ს! მეტი რა შეეძლო მას?

იტყვიან: ღენ. მაზნიაშვილმა უარი განაცხადა 5 ნოემბერს ეშელონების მისთვის გაგზავნაზეო...

გავიხსენოთ, რა პირობებში მოხდა ეს? ჩვენ გაგვეხსნა ახალი ფრონტი—სოჭისა: ორპირა არწივი კვლავ დაემუქრა საქართველოს საზღვრებს. თვით აფხაზეთი ღელავდა.

ღენ. მაზნიაშვილი გამოიძახეს პირდაპირ მავთულით, აუხსნეს მდგომარეობა და ჰკითხეს, როგორც გაგრის ფრონტის კარგ მცოდნეს, ვინაიდგან მან აიღო სოჭი, ადლერი, გაგრა,—ეშელონები სით გავგზავნოთ, ახალციხისაკენ და სოხუმისკენაო.

და.. ღენ. მაზნიაშვილს უპასუხნია, როგორც აქ ერთხმად აგვიხსნეს მოწმეებმა:

„მე ახალციხე და ახალქალაქს თუ დავტოვებ, მათი უკან დაბრუნება ადვილიაო. მაგრამ თუ სოჭის ფრონტზე საქმე წავაგეთ, მას ვერასდროს ვერ გამოვასწორებთო.“ აი სიტყვა-სიტყვით მისი ლაპარაკი ღენ. გედევანიშვილთან 6 თებერვალს: „ვწუხარ“ ამბობს ღენ. მაზნიაშვილი, რო ჯარი არა მყოფნის და ამის გამო ოქროს დროსა ვჰკარგავ. მე ერთი ათასი კაცი კიდევ მაინც მყავდეს... თუ მდგომარეობა სერიოზულია, მაშინ გვარდია სოხუმში გაჰგზავნეთ. მე ვაცნობებ მეექვსე ათასეულს—სამი გუნდი კვლავ გამომიგზავნონო!!

ღენ. გედევანიშვილი ამის შემდეგ დაჰპირებია ღენ. მაზნიაშვილს-ჯარს ორ სამ დღეში მოგაშველებთო. ხოლო ის ეშელონები კი გაუგზავნიათ სოხუმში, ვინაიდან სოჭი აიღეთ მოხალისეებს და იქაურ ფრონტს ცენტრალური სარდლობა უფრო დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა...

განა ღენ. მაზნიაშვილის ლაპარაკიდან არ სჩანს, რომ მას ჯარი არ ჰყოფნის? ერთი ათასი კაცი ენატრება.

მაგრამ უარს ამბობს მოშველებაზე! რატომ? სხვა მის ადგილას იტყოდა: რას მიქვიან აფხაზეთი, რას დავეძებ სოჭის ფრონტს, ჯარი მე მომაშველეთო.

ასე რო ეთქვა ღენ. მაზნიაშვილს, ის იქნებოდა პატრიოტი თავის პროვინციის, მაზრის, თავის ფრონტის.

ღენ. მაზნიაშვილი ასე არ მოიქცა: ის მიუდგა საკითხს მთლიან საქართველოს მასშტაბით, როგორც შეეფერებოდა ნამდვილ მოქალაქეს.

და როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ ახალციხის ამბებზე, ნუ დაგვავიწყდება, რო თუ გაგრის ფრონტზე ჩვენ საქმე გამოვასწორეთ, თუ თავი დავაღწიეთ რუსეთის კლანჭებს, უნდა ვუმადლოდეთ სხვათა შორის ღენ. მაზნიაშვილს, რომელმაც გაიღო მსხვერპლი, თავის ფრონტით, თავის სახელით!

ღენ. მაზნიაშვილსაო, სწერია საბრალმდებლო ოქმში, არ მიუღია ზომები ჯარის დაღლილობის წინააღმდეგო! განა ჯარი მარტო დაღლილი იყო? ბ. რუხაძემ ბრძანა ეს ჯარი ჯერ სომხეთის ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ ახალციხეში ჩამოიყვანესო.

ჯარისკაცები დაღლილნი იყვნენ, დაგლეჯილ-დაფლეთილნიო!

30 იანვარს ღენ. მაყაშვილის დროს ჩვენი ჯარი სასტიკად დამარცხდა და მ 6 და ხრა ჯერ უდემდის, ხოლო შემდეგ-ველეს მაღლობ ადგილებს ამოაფარეს თავი.

30 იანვარი-ის თარიღია, ამბობენ ყველა მოწმენი, და მათ შორის რუხაძე, როდესაც ჩვენი ჯარი შეიპყრო დეზორგანიზაციამ, მიეჩვია პანიკას.

აი როგორი იყო სულიერი განწყობა, ფსიხოლოგიური ვითარება ჩვენი ჯარისკაცების, როდესაც 4 თებერვალს მათი სარდლობა ჩაიბარა ღენ. მაზნიაშვილმა, რომელიც აქ საქმის გამოსასწორებლად იყო გაგზავნილი!

ჯარი დაღლილი, ნაცემ-ნატყეპი! უიარაღო სამხედრო მოსაზრება უკარნახებ- [illegible] ახლად მოსულ, დასვენებულ ჯარით, მაგრამ... ჰყავდა ღენ. მაზნიაშვილს რეზერვი, ჯარი? რითი უნდა შეეცვალა პოზიციაზე მდგომნი?

ჯარისკაცები თავის ნებით სტოვებდენ სიმაგრეებს, თუმცა მათ მტერი არ უშინდათ, სწერია საბრალმდებლო ოქმში. ღენ. მაზნიაშვილმა კი არავითარი ზომები ამის საწინააღმდეგო არ მიიღო...

ეს მტკიცება არ შეესაბამება სინამდვილეს. პირიქით! ღენ. მაზნიაშვილმა მიიღო ყველა მორალური ზომები, რათა ჯარი შეეკავებინა თავის ადგილას და ჩვენ ვხედავთ, რომ მან უკიდურეს ზომასაც კი მიჰმართა: სარდლები ჩვეულნი არიან შტაბებში დამალვას, ის კი, ცხენზე მჯდომი, თხრილებთან მიდის, ჯარს ეხვეწება ადგილიდან ნუ დაიძვრებით—მტრის ტყვია მე, ცხენოსანს ვერ მეწევა, და თქვენ რისა გეშინიათო?

ღენ. მაზნიაშვილი მორალურად ახდენდა გავლენას ჯარისკაცებზე. არ კმარა ეს! მან დაავალა ზომების მიღება გამოქცეულთა წინააღმდეგ ღენ. სუმბათაშვილს და ღენ. გელოვანს: მათ უნდა დაედევნებინათ მწყობრად...

ღენ. მაზნიაშვილმა ამოსწურა ყოველი მორალური საშუალება ჯარის გამოქცევასთან ბრძოლაში!

ამ სტიქიურ უბედურებას იგი გაუმკლავდა, მაგრამ... დამარცხდა! განა ამაში იგი დამნაშავეა?

იყო მეორე გზაც, რომლისათვისაც ღენ. მაზნიაშვილს არ მიუმართავს. ეს ის გზაა, მაიორ ოთხმეზურმა რომ ბრძანა—მას ტყვიისმფრქვეველი უნდა დაეყენებინა ან, ამაშუკელის სიტყვისამებრ, ჯავშნოსნიდან უნდა დაეშინა გამოქცეულ ჯარისკაცებისათვისო...

მაგრამ... ნუ დაივიწყებთ: ეს იყო ჩვენ ჯარის შექმნის გარიჟრაჟზე, როდესაც არა მარტო იქ, არამედ საერთოდ ჯარში არ იყო დისციპლინა!

გამოქცევას ჰქონდა არა სპორადიული, არამედ მასსიური ხასიათი. ღენ. მაზნიაშვილს არ ჰყოლებოდა ისეთი ერთგული ერთეული, რო დაყრდნობოდა მას...

გარდა ამისა, განა ჩვენთვის არ კმაროდა ის ეროვნული ტრაღედია, რომელსაც მაშინ განვიცდიდით: ჩვენივე მოძმე ქართველი მუსლიმანები გვესროდენ ზურგიდან, რო ჩვენ თვითონაც ერთმანეთს არ დავერიოდით?

...თქვენ შეგიძლიანთ ყველაფერში სცნოთ ღენ. მაზნიაშვილი დამნაშავეთ, ხოლო ერთია აშკარა:

მას ხელები არ აქვს ამოსვრილი ჩვენ შეუგნებელ ჯარისკაცების უმანკო სისხლში...

და ჩვენ ვიცით, რო ჯარის აღზრდის იმ მეთოდმა, რომელსაც ადგა და რომელიც შემდეგ უნერგა ღენ. მაზნიაშვილმა თავის უნცროს ოფიცრებს, გამოიღო თავის ნაყოფი; და მის გამოისობითაა, რო დღეს ჩვენ გვყავს ჯარი, რომელიც ჯარობს: ჯარის კაცები, შეგნებულ დისციპლინით აღსავსენი, გმირულად იბრძვიან სხვა და სხვა ფრონტებზე. ასეთია ბრალდება, ასეთივეა ჩვენი პასუხი!

შესაძლებელია, ბევრს ეგონოს, რო ის განმარტება, რომელიც მე ჩავაწანი ჩემ სიტყვაში, ზედმეტია მას შემდეგ, რაც ბრალმდებელმა უარი განაცხადა ღენ. მაზნიაშვილზე ბრალის დადებაზე.. მაგრამ... გაიხსენეთ: თვითონ ღენ. მაზნიაშვილი ითხოვდა, რო იგი გაესამართლებინათ, 18 თვე ელოდა ის ამ ნეტარ დღეს, და ეხლა—ჩვენ გადაგიშლით მთელი ჩვენი გულის ნადები... სიტყვა ეხლა თქვენზეა! ველით თქვენგან არა სიბრალულს, არა შეცოდებას, არამედ მკვეთრ სიტყვას, სამართლიან განაჩენს!

და, ვარ დარწმუნებული, თქვენ აღუდგენთ ღენ. მაზნიაშვილს მის კვლავინდებურ სახელს და დაუბრუნებთ—სამშობლო-საქართველოს მის ერთგულ მოქალაქეს, ჩვენ საყვარელ ლაშქარს—მის მომაგე-მოჭირნახულეს“.

ივანე ვარაზაშვილის საქმე.

ნოემბრის 22-დან ტფილისის საოლქო სასამართლოში ირჩეოდა მეტად საინტერესო საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის ცნობილი კომერსანტის ივანე ვარაზაშვილის საქმე. საქმის ინტერესს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ პროცესში მონაწილეობას იღებენ ადვოკატურისა და სასამართლოს საუკეთესო წარმომადგენელნი და მოწმეებათ გამოდიან დამფუძნებელი კრების წევრნი, მინისტრები და რესპუბლიკის მაღალი მოხელენი.

ბ-ნ ვარაზაშვილს ბრალდება რომ მან, ჯულფის რკინის გზის უმთავრესმა მოიჯარადრემ, რომელსაც დიდ ძალი ფული ერგებოდა ძველი რუსის მთავრობიდან და ხელთ ჰქონდა სათანადო ასიგნოვკები—ეს ასიგნოვკები გაანაღდა ქართულ ხაზინაში იმ დროს, როცა აღკრძალული იყო ამ ასიგნოვკების მიღება.

ვარაზაშვილთან ერთად ამ საქმეში ბრალს სდებენ ხაზინის ორ მოხელეს—მაზიტაშვილს და ოქოევს.

საქმე ირჩეოდა სასამართლოს თავმჯდომარის ბ-ნი ვაჩნაძის თავმჯდომარეობით და ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით, რომელთა თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ბ-ნი ნიკო თავდგირიძე.

ბრალს სდებდა პროკურორი ბ ნი შოთა დადიანი. სამოქალაქო მაძიებელია ბ ნი კვირკველია.

დამცველებათ გამოდიან ნაფიცი ვექილი კირილე ნინიძე, ოსიკო ბარათა- [illegible] ანდრონიკაშვილი, ტატიშვილი, ი. ზურაბიშვილი და სხვ. პირველ დღეს საჭირო ფორმალური წესების შესრულების შემდეგ წაკითხულ იქნა ვრცელი საბრალმდებლო აქტი, რომელიც იკითხებოდა საათ ნახევრის განმავლობაში, რის შემდეგაც დაიწყო მოწმეების დაკითხვა. პირველად დაკითხულ იქნა მოწმე ვირსალაძე—სახაზინო პალატის ყოფილი მმართველი.

ვირსალაძე თავის ჩვენებაში ამტკიცებს, რომ ბ-ნმა ვარაზაშვილმა ასიგნოვკა უკანონოდ გაანაღდა, რომ არსებობდა კანონი, რომლითაც აკრძალული იყო სამხედრო სააღმშენებლო სამმართველოების მიერ გაცემულ ასიგნოვის განაღდება და ეს კანონი დაარღვია ვარაზაშვილმა. მოწმე აცხადებს, რომ მან გაგებისთანავე დანიშნა ხაზინის რევიზია ამ საქმის გამოსარკვევად და აღმოაჩინა, რომ ამ საქმეში დანაშაულობა ჩაიდინეს ორმა მოხელემ მაზიტაშვილმა და ოქოევმა. მოწმე ვრცლად ახასიათებს მაშინდელ ფინანსიურ მდგომარეობას და გამოსთქვამს თავის აზრს საერთოდ მაშინდელი კრიზისის შესახებ.

ბ-ნი ვირსალაძის ჩვენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კითხვების მიცემა საქმის ზოგიერთ დეტალებში გამოსარკვევად რის შემდეგაც პირველი დღის სხდომა დაიხურა დღის 6 საათზე.

ნოემბრის 23 სხდომა მოუნდა მოწმეების დაკითხვას. დაკითხულ იქნენ მოწმეები რატიანიძე, დავიდოვი, კორინთელი, ნიორაძე და სხვანი, რომელნიც არკვევენ, რომ ასიგნობა კანონიერად იყო გაცემული. მოწმეების ჩვენებით ირკვევა, რომ ვარაზაშვილის ფული არ მიუღია ხაზინიდან არამედ მისი ასიგნოვის თანხა გადარიცხული იქნა ვარაზაშვილის მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში და ეს ოპერაცია მოხდა კანონიერად, ვინაიდან ამ დროს ბუღალტერმა არ იცოდა შინაარსი ფინანსთა მინისტრის განკარგულებისა ამგვარ ასიგნოვკების გაუნაღდებლობის შესახებ.

24-ს დაკითხულ იქნენ მოწმეები შათირიშვილი, შენდრიკიძე, ქვრივიძე, ტესტინსკი, ქსენოპოლსკი და დამფუძნებელი კრების სოც.-რ. ფრაქციის რამოდენიმე წევრი.

მოწმეების ჩვენება გვიხატავს ბ-ნ ვარაზაშვილს, როგორც მეტად კეთილსინდისიერს და პატიოსან ადამიანს. მას თითქმის ყველა უყურებდა როგორც ქართველ ინტელიგენტს და არა კომერსანტს. ბ-ნი ვარაზაშვილი ფართოდ დაინტერესებული იყო საზოგადოებრივი საკითხებით და კერძოდ მას ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი ჯულფის გზაზე მოიჯარადრეებთან, ვინაიდან ვარაზაშვილი ყოველთვის იცავდა ხელფასის მაქსიმუმს მუშებისათვის. ირკვევა აგრეთვე ისიც რომ ვარაზაშვილის მიერ ასიგნოვკის განაღდების დროს საალმშენებლო სამმართველოს, რომლისგანაც მას მიცემული ქონდა ასიგნოვკები არ ჰქონია მიღებული განკარგულება, რომ მათი ასიგნობები არ იქნება განაღდებული. წინააღმდეგ—მინისტრი და სხვა მოხელენი ადასტურებდნენ რომ ეს ასიგნოვკები განაღდებულ იქნებაო მხოლოდ იმ დროს ყველა ასიგნოვკაზე ფულის აღება ძნელდებოდა ვინაიდან ნიშნები იყო ძლიერ ცოტა.

(გაგრძელება იქნება).

სტუდენტთა ცხოვრება.

ს. ხელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომ-ბუნებისმეტყველ სტუდენტთა კავშირმა საკუთარ ხარჯით გამოსცა მშვენივრად დასურათებული სქელტანიანი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები: დოცენტ ვ. ამირეჯიბის „საგრონომიო მექანიკა“. პროფ. ა. თვალჭრელიძის: „გეომეტრიული კრისტალოგრაფია“. ამ ჟამად იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა დოც. უვაროვის: „ენტომოლოგია“. მზადდება დასაბეჭდათ არ. თვალჭრელიძის „მინერალოგია“.

ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში.

თეატრი და ხელოვნება

კონცერტი დედათა და ბავშთა დამხმარე საზოგადოებისა.

სახელმწიფო თეატრში იშვიათად თუ ვისმეს უნახავს ისეთი სასკანდალო წარმოდგენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნოემბრის 24-ს.

საღამოს მართავდა ქ-ნი ი. ჟორდანია; მისი სახელი საკმაო უნდა ყოფილიყო, რომ თეატრში მრავალი ხალხი მიეზიდა ისეთი სიმპატიური მიზნისათვის, როგორიც არის დახმარება ბავშთა და დედათა საზოგადოებისა.

მაგრამ თეატრი ნახევრად ცარიელი იყო და საღამოს დასასრულს, ხომ თითებზედ ჩამოითვლიდით დამსწრეთ...

სად იყო ქართული საზოგადოება ამ საღამოს? რა საღამო იყო ასეთი, რომ ქართული სახეები მხოლოდ უნდა გეძებნეთ?—თეატრი სავსე იყო იმ ხალხით, რომელსაც ვერც ერთ ქართულ საღამოზედ ვერ ნახავთ?

და ამას თავისი გამართლებაც აქვს: მთელი პროგრამა ისე შეედგინათ, თითქოს მომწყობნი თავს ჟიტომირში, ან როსტოვში გრძნობდენ და არც ერთი ქართველი მსახიობი, არც ერთი ქართული ნომერი პროგრამაში?

ასე აწყობენ საღამოებს საქართველოს დედა-ქალაქში და ისიც წარჩინებული სახელების მფარველობით.

ლი.

სამხატვრო ქრონიკა.

სახელმწიფო ოპერის თეატრში.

ნოემბრის: 26—ს ბალეტის საღამო „ჟიზელი“

ნოემბრის: 27—ს ოპერა მუშებისათვის „კოტე და ქეთო.“

ნოემბრის: 28—ს „აბესალომ და ეთერი.“

სახელმწიფო დრამის თეატრში.

ნოემბრის 28—ს: „ზღვასთან.“

დეკემბრის 4—ს: პირველად ორიგინალური ტრაღედია „ბერდო—ზმანია.“

ჩვენი კორესპონდენტები

გურია.

სოციალ-დემოკრატები სცდილობენ ყურები გამოგვიჭედონ „ჩვენ ასე და ასე აღმაშენებლობითი მუშაობას ვეწევითო“. ეს მათი კადნიერება იქამდისაც კი მივიდა, რომ მათ დასავლეთ ევროპის გაკოტრებულ სოციალიზმის იდეოლოგებიც კი მოიპატიჟეს: „მოდით ნახეთ და დასტკბით როგორი სამოთხე დავაარსეთო“. მოვიდნენ. შეხვდნენ მათ დაფით და ნაღარით. მოხსნეს მენშევიკებმა ტრაბახობის გუდას თავი; აქეს სტუმრები და იქეს თავიც. ვინ იცის, რამდენი ენერგია დახარჯეს მენშევიკების „კაზიონი“ ორატორებმა, რომ რაც შეიძლება „მგრძნობიარე“ ტერმინები მოენახათ მათ შესაქებად. აბა რამოდენიმე მილიონი მანეთი, გაძვალტყავებულ ხალხის ზურგიდან რომ დაიხარჯოს ასეთი ძვირფასი სტუმრების შესახვედრად, ეს რა დიდი საქმეა? და „მასპინძლები“ მართლაც ჩინებულად დახვდნენ სტუმართ! მათთვის „ჩიტის რძეც“ კი არ მოუკლიათ. ევროპაში გაკოტრებულ სოციალისტებს თავბრუ დაესხა ასეთი შეხვედრით და იმათაც შეხმატკბილებულად „დითირამბები“ უგალობეს ჩვენ ბედოვლათებს. თუ არ ვცდები, გამოჩენილ კრილოვს იმდენა შორს მჭვრეტელობა უხმარია, რომ სპეციალურად მათთვის უთქვამს: „Кукушка хвалитъ пѣтуха за то, что хвалитъ онъ кукушку“. ილლიუზია, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინებული გამოვიდა და დელეგატები ისე გაათამამდნენ, რომ საქართველოს, იმ ბედ-შავ საქართველოს, რომლის მცხოვრებნი ერთ არშინ ნარმას ვერ შოულობენ ტიტველ სხეულის დასაფარავად და ერთი გირვანქა პურისათვის ერთ ვერსიან რიგში სიცივით იხოცება, იმ საქართველოს, რომლის მშრომელი ინტელიგენცია 2 მანათს აღარ ღებულობს ძველი ფულის კურსით და სიმშილით, სიცივით იხოცება—„შვეიცარია“ და წარმოიდგინეთ თქვენ „სამოთხეც“ კი უწოდეს.

ამ „სამოთხის“ შვილებმაც რასაკვირველია, თუ დაუჯერებთ მენშევიკებს, დიდი ზეიმი და სიხარულით შეხვდნენ ამ „იშვიათ“ სტუმრებს. მენშევიკების „კაზიონ“-ი კორესპონდენტები არც ამგვარ [illegible] „პარტიული“ კურსი აიწიოს. გაჭირვების ქვეშ მშვინავი ხალხი, ყოველ გამვლელ გამომვლელს ასკდება, ეგებ რაიმე გვეშველოსო, მაგრამ შველა არსაიდან სჩანს და ქვეყანა უკვე დაღუპვის კარამდის არის მისული. არა ბ-ნო მენშევიკებო! ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს! გადახედეთ ქართველო ხალხნო, ვისაც კი ცოტათი გული შეგტკივათ ჩვენი ერისადმი, გული შეგტკივათ არა სოციალ დემოკრატიულად, არტისტულად—პირფერულად, არამედ ნამდვილ ადამიანურად და თქვენ დაინახავთ რომ ჩვენი ქვეყანა არც „შვეიცარია“-ა და არც სამოთხე! ძნელია ისეთი სიტყვის გამონახვა, რომლითაც შეიძლებოდეს საქართველოს მდგომარეობის მკრთალად მაინც დახურათება. ნუ დაუჯერებთ მენშევიკების სიყალბეს, რომელნიც ამაყად გაიძახიან: Все спокойно на Шипкѣ,“ო იმ დროს, როდესაც ჩვენი ერი უკვე გადაშენების გზაზე შემდგარა. თუ ქართველმა ერმა რამდენიმე ათასეული წლების განმავლობაში დაიცვა თავისი „მე“, დღეს ის უკვე გადაშენების გზაზეა შემდგარი. ხალხი გმინავს, ეძებს გამოსავალ გზას შექმნილ მდგომარეობიდან და „წყალწაღებული კაცი ხავს ეჭიდება“-ო. იმის არ იყოს ხან „სოც.-დელეგაცია“ მიაწყდება და ხან სხვა გამვლელ-გამომვლელს. შეჰყურებს მათ ლმობიარე თვალებით, გამოელის შველას! მაგრამ ამაოდ! მოთმინების ფიალა კი უკვე ივსება! ხალხის სტიქია ასამოძრავებლად უკვე ფრთებს ისწორებს, ასაფეთქებელი მასალები მრავლად არის! და საშინელი იქნება ის წუთი, როდესაც გაბოროტებული ხალხი შურს იძიებს მტყუან მართალზე. ჯერ კი... „Народъ безмолвствуетъ“. დროზე შველა, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

შ. ჩიბათელი.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

თვალების ავადმყოფების
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის 1. № 32

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა № 3208.

მატარებელთა მოსვლა.

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10 ს. 53. წ.
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14 წ.
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 ს. 37 წ.
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20 წ.
მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღლში დილის 9 ს.
მატარებ. № 300.
თბილისიდან სანაინში დილის 7 ს. 45 წ.
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 ს. 30 წ.

თბილისში მოდის.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდის საღ. 10 ს. 27 წ.
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.
მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის ღამის 12 ს. 2 წ.
თბილისში მოდის დღის 2 ს. 13 წ.
მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის ღამის 12 ს. 58 წ.
მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის ღამის 2 ს. 16 წ.
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2 წ.
მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისისკენ გადის დილის 9 ს 10 წ.
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36 წ.
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის დილის 8ს.
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53 წ.
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის დილის 4 ს. 20

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიულ სნეულებათა (
მლობა ახალი და ძველი სუსუნატი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება)
ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საა
დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—1
ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემ
ლის აფთიაქის პირდაპირ.
326

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურ
ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—16
საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალ
ქსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

დაბრუნდა და განახლა ავადმყოფებ
მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასი
ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავა
მყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიულ
სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 91
და საშ რდე ორგანოთა საღ. 5—7
გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ.
თხვ ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხ
დრო ბეითალი-ექიმი
ი. ბ. ქუთათელაძ
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავა
მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრი
ნველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) გა
კვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქოთ
ცხვირის სასული—მილას ავათმყოფობ
ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მ
თოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზო
ოტექნიაზე“ (საქონლის მოვლა-მოშ
ნება). დილის 9—10 საათ. და დღ
3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა
თვ.

იყიდება მანდარინებ
ხელმისაწდომ ფასებში
ყუთებით, მიწათ-მოქმედების სამინისტროს მაღაზიაში.
რუსთაველის პროსპექტი, № 24.

ზინგერის მაშინა
საჩქაროდ იყიდება
იაფ ფასებში საკერავი ფეხის მაშინა
მაღაზია „სალონ კოტი“ — ვერის დაღმართი, 7.
3—1 121.

დ-უ-ხ-ი
ფლაკონებით და წონით.
საუკეთესო საზღვარ-გარეთის ფირმისა:
კოტი, „უბიგანი“ დ'ორსაჲ და სხვა. სრული გარანტია იმი
სა რომ დუხი ყალბი არ არის.
მაღაზია „სალონ კოტი“ ვერის დაღმართი 7
3—1 121

ვყიდულობთ ბეწვიან
ქურქებს
სოგოლი, კოტიკი და ნორკა უცხოეთიდან ჩამოსუ
ლისათვის.
მაღაზია „სალონ კოტი“ ვერის დაღმართი 7.
3—1 121

გაზ. „საქართველო“-ს
აგენტების საყურადღებ
თელავი, ყვირილა, გორი, ახალსენაკი, ფოთი,
ბათომი, სამტრედია.
გაზ. „საქართველო“-ს კონტორა კატეგორიულად აცხა
დებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგე
ნიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუ
რუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ და
წვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები:
წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.